


საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში,
ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას,
ცყილებით და ჭაბუბით ბუბთის
გაცანა ყულა უჯარბისდბაჟ
უსამაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

შაბათი, 8 ივნისი, 2013 წელი.

№106 (7233)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

7 დაღუპული და 9 დაჭრილი —

			
იკლასის რიგითი ზვიად სულხანიშვილი	კაპრალი გიორგი ადამოვი	იკლასის რიგითი გიორგი ლუგაშვილი	
			
კაპრალი ბორის ცუბოშვილი	იკლასის რიგითი ზურა გურგენაშვილი	კაპრალი თეიმურაზ ორთაშვილი	რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი

„სააკაუზილის
უპრისიმიება
② საკუთარი
მოსახლეობის
წინააღმდეგ“

საქართველო, უნ ვინ მოგა, უპილი დასაბრბაპი?!

- ავღანეთში უკვე საქართველოს 29 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა**
- 2009 წლის ნოემბრიდან დღემდე ავღანეთში საქართველოს 29 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. ყველაზე დიდი მსხვერპლი საქართველოს არმიას 2013 წლის 6 ივნისს ჰქონდა. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თვითმკვლელობა ტერორისტმა ბაზასთან სატიერთო მანქანით აფეთქება მოახდინა. აფეთქების შედეგად 7 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.
- ავღანეთში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა სრული სია**
- | | |
|--|--|
| ლეიტენანტი მუსრბან შუკბანი — დ. 31.01.1984.
პოლკოვნიკი რამაზ გომიბაშვილი — დ. 15.01.1967.
სერჟანტი ღვთისმეტყველებელი — დ. 07.09.1975.
კაპრალი ნუზურ კალანდარიანი — დ. 27.07.1989.
კაპრალი გიორგი კოლხიძე — დ. 03.03.1989.
კაპრალი გიორგი ავალიანი — დ. 04.04.1981.
კაპრალი ვალერი ვირსკიანი — დ. 13.11.1979.
უმცროსი სერჟანტი ლაშროსი ივანიანი — დ. 08.12.1985.
რიგითი მიხეილ ცუბოშვილი — დ. 04.10.1990.
სერჟანტი რეზო ბერიანი — დ. 16.10.1979. | კაპრალი ბესიკ ნიკიბაძე — დ. 02.10.1988.
კაპრალი შალვა ფაილოანი — დ. 02.10.1988.
კაპრალი ვალერი ბერიანი — დ. 17.06.1987.
კაპრალი რუსლან მელიანი — დ. 20.09.1991.
კაპრალი პაბლა კაჭარაძე — დ. 29.07.1975.
სერჟანტი ვალერიან სუჯაძე — დ. 19.08.1976.
კაპრალი გივი ფანცულაძე — დ. 29.08.84.
კაპრალი მიხეილ აბაშიანი — დ. 27.10.1989.
სერჟანტი გიორგი კიკიაძე — დ. 16.01.1988.
უმცროსი სერჟანტი ზვიად დავითიანი — დ. 22.11.1979.
კაპრალი ალექსანდრე კვიციანი — დ. 17.12.1986.
კაპრალი ვლადიმერ შანაძე — დ. 01.04.1989.
კაპრალი თეიმურაზ ორთაშვილი — დ. 07.01.1988.
კაპრალი გიორგი ადამოვი — დ. 23.05.1990.
რიგითი ზურაბ გურგენაშვილი — დ. 02.09.1980.
რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი — დ. 25.12.1986.
რიგითი ბორის ცუბოშვილი — დ. 12.05.1984.
რიგითი ზვიად სულხანიშვილი — დ. 22.10.1990.
რიგითი გიორგი ლუგაშვილი — დ. 10.12.1991. |
|--|--|
- ავღანეთში ჩანს, რომ საქართველო დიდი პრობლემის წინაშე დგას..**

გვილოცავენ

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტი დიდი პატივისცემით ულოცავს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ დაარსების 95 წლისთავს. რედაქციის ყველა თანამშრომელს უსურვებს ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს.

მერაბ პარკინიშვილი



მკითხველთან პოლიტიკის მოსდით დღის ამჟამად

კობა ხაბაზი (გაუმცირებელი): — პუტინის დედის შეგინებისთვის ასი ლარით აჯარიმებს ახალი ხელისუფლება ახალგაზრდებს... მოდით, დამაჯარიმეთ, სახალსოდ ვამბობ: პუტინის დედის შეგეც...

მეტროპოლიტის განცხადებით:

- რა ღირს ხაბაზი?
- ალბათ, არც აბაზი..

რედაქციის განცხადებით: ისლა დაგვრჩენია, დაველოდოთ თავად პუტინის პასუხს... მერე ვნახოთ, ვინ ვის დედას... ხაბაზი პუტინისას თუ პუტინი ხაბაზისას... და კიდევ შეგეცოლევა თუ არა ხაბაზი ვაჟკაცობაში პუტინს...



„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძობს ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახების წევრებსა და სრულიად საქართველოს.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამან ვერ ნახავ!..

ტრაგედია

7 დაღუპული და 9 დაჭრილი – „სააპოკალიფსის უპრისიმიება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ“

ბმდბნთში 6 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. დაჭრილია 9 სამხედრო მოსამსახურე. ოფიციალური ინფორმაციით, ჰელმანდის პროვინციაში, ქართულ მოწინავე ბაზასთან თავი თავთმკვლელმა ტერორისტმა აიფეთქა. აღნიშნულთან დაკავშირებით თავდაცვის სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა.

გარდაცვლილები არიან: კაპრალი ორთავიძე თიბოშაძე თამაზის ძე, კაპრალი ადამიანი ბიორბ ნუზუაძის ძე, პირველი კლასის რიგითი გურამიანი ვიქტორი ზურაბ ბიორბის ძე, რიგითი ნაზარდუშვილი მიხეილ ვიფსვიას ძე, რიგითი ცუბოვილი პირის ტარიელის ძე, პირველი კლასის რიგითი სულხანიშვილი ზვიადი სულხანის ძე, პირველი კლასის რიგითი ლუბაშვილი ბიორბი ვაჟას ძე. რაც შეეხება დაჭრილებს, თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაჭრილი სამხედროების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„დიდი მწუხარებით მიიღო გაცნობით, რომ თავდაცვის სამინისტროსა და ჩვენი ქვეყნისთვის უმძიმესი დღეა. ჰელმანდის პროვინციაში, ქართულ მოწინავე ბაზასთან მოხდა ტერორისტული თავდასხმა. თავთმკვლელმა ტერორისტმა სატივრო მანქანა ააფეთქა ბაზაზე. სამწუხაროდ, მიიღო გაცნობით, რომ არიან დაჭრილები და დაღუპულები.“

მიიღო მიუხედავად ამ მძიმე საინფორმაციო მდგომარეობისა და დაზარალების რაოდენობისა, მთელი შეიარაღებული ძალებისთვის უმძიმესი დარტყმაა. ისინი ჩვენი პატივსაცემი არიან, რომლებიც საქართველოს უსაფრთხო მომავალს შეეძინენ. აქვე მიიღო აღვნიშნო, თავდასხმის დროს დაჭრილია საქართველოს შეიარაღებული ძალების 9 სამხედრო მოსამსახურე.

მიუხედავად ამ თავდასხმებისა, ქართველი სამხედროები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას იცავენ საერთაშორისო მისიაში, უკან არ დაიხევენ და მოწინააღმდეგეს არ შეუშინდებიან. ყველა ქართველი სამხედრო მოსამსახურე სრულ მზადყოფნაშია, ბოლომდე შეასრულოს მისი დაკისრებული მისია და მაქსიმალურად პროფესიონალურად დაიძვროს საერთაშორისო უსაფრთხოება, – აღნიშნა

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ.

კავკასიისა და ცენტრალურ აზიაში ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი დღეს ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს. აპატურაი სამხედროების წერილი საკუთარი „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა.

„ღრმა მწუხარებას ვუცხადებ ქართველ ხალხს იმ დანაკარგისთვის, რომელიც განიცადეს. საშინელებაა, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ეს ხდება ამასწინანდელი მსხვერპლიდან ცოტა ხანში. სრულ სოლიდარობას გიცხადებთ ნატოსგან, – წერს ჯეიმს აპატურაი.

პოლიტოლოგი სათუნა ლაგაზიძე აცხადებს, რომ ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი ტრაგედია პირდაპირ კავშირშია პრეზიდენტის 26 მაისის ცნობილ განცხადებასთან და ინტერნეტით თაღებების მიერ გავრცელებულ ჩანაწერთან.

„ისევე როგორც 2008 წლის აგვისტოში, დღესაც ამ ტრაგედიაში დანაშაული მიუძღვის საქართველოს პრეზიდენტად წოდებულ სა-

აკაშვილს. იმიტომ, რომ 26 მაისს შემაძრწუნებელი კადრები გაავრცელა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, მან სრულიად მიზანმიმართულად ფაქტობრივად სამიზნედ გახადა ავღანეთში დისლოცირებული ქართული საჯარისო ფორმირებები. თალიბების განცხადების გარეშეც ცხადი იყო, რაც მოხდებოდა. დღევანდელმა დღემ ეს დაადასტურა. მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა საკუთარი ჯარისკაცები, ისევე როგორც ეს მას თავისი სახელი-სუფლებო კარიერის მანძილზე არაერთხელ გაუკეთებია, განადგურების სამიზნედ აქცია“, – აცხადებს სათუნა ლაგაზიძე.

For.ge-ს კითხვაზე, რატომ უნდა გაეკეთებინა ეს სააკაშვილს, ექსპერტი პასუხობს: „იმიტომ, რომ სააკაშვილს რეჟიმის პირდაპირი შურისძიებით საკუთარი მოსახლეობის მიმართ იმისათვის, რომ მათ არ აირჩიეს მისი პარტია 1 ოქტომბერს რეჟიმის გასაგრძელებლად. შურისძიების აქტს ის ასორციელებს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. მაგრამ, რაც ასევე თვალსაჩინოა, შურისძიების აქტს ის ასევე ასორციელებს აშშ-ის ადმინისტრაციის წინააღმდეგაც, რადგან ამერიკის ადმინისტრაციამ არ მისცა მას უფლება საკუთარი პარტია უკანონოდ



დაეტოვებინა ხელისუფლებაში 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.

ეს მისი მხრიდან არის ორმაგი შურისძიების აქტი და შებამისად მას პასუხი ორმაგად უნდა მოეთხოვოს. ერთი მხრივ, საქართველოს მოსახლეობისგან და მეორე მხრივ, ამერიკის ადმინისტრაციისგან. აქ დგება ის საკითხი, რაზეც ხშირად საუბრობენ ბოლო პერიოდში, რომ ყველაზე მეტად თუ ვინმე ასორციელებდა საქართველოში რუსეთის ინტერესებს, ეს იყო მიხეილ სააკაშვილი. ანუ მან ჩააბარა სამხრეთ ოსეთი, ჩააბარა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი. დღეს კიდევ ერთ გამანადგურებელ დარტყმას აყენებს საქართველოსა და დასავლეთის პარტნიორობას.

იმიტომ, რომ ის, რაც ავღანეთში ტრიალებს, ამხელა მასშტაბის ტრაგედია, მე არ ვიცი, ამას რა გამოწვევა მოჰყვება საქართველოს მოსახლეობის მხრიდან და იქ-

ნება თუ არა ამ ყველაფრის შედეგია ის, რომ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნის ავღანეთში დისლოცირებული ჯარების გამოწვევა. თუ ეს მოხდა, პირდაპირ ვამბობ, რომ ეს იქნება სააკაშვილის მიზანმიმართული ქმედება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის წისკილზე ასხამს წყალს, – აცხადებს სათუნა ლაგაზიძე.

მისივე განცხადებით, ეს საკითხი საჭიროებს სერიოზულ გამოძიებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. მისივე თქმით, ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სააკაშვილმა დარწმუნდეს პერიოდში, სანამ მას კონსტიტუციით მიკუთვნებული აქვს პრეზიდენტობის ვადა, არ განახორციელოს მსგავსი შურისძიების აქტები ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

თამაზ ძარჩავა

წკაპლია

რა, ავღანეთში რეი უფრო ჩვენი?..

კიდევ შვიდი ქართველი ვაჟკაცი დაგვეღუპა იმ წვეულ, მარადიულ ცხელ ავღანეთში. რა ფულადი კომპენსაცია, რა სახელმწიფოს გაღებული დაკრძალვის ხარჯები, რა მხედრული პატივით მიიწას მიზარება ან ოკეანის გაღმადან გადმოცემული სამხედრო მთავრობის მიერ შვიდი ქართველი ოჯახის აუნერგელ მწუხარებას; და როდემდე ასე?..

ან როდემდე უნდა ვიტრაბახოთ, რომ მოსახლეობის რაოდენობასთან პროცენტული შეფარდების მიხედვით, ყველაზე მეტი სამხედრო ჩვენ გვყავს იქ გაგზავნილი? და კიდევ მეტიც გაგზავნილი რატომ ვიმუქრებით? და ქართველი ჯარისკაცების საზღვარგარეთ ყოფნის „გეოგრაფიას“ ვისთვის ან რისთვის ვაფართობთ? იმისთვის, რომ ამ ტუტუცმა „პრეზიდენტმა“ „ბლატი“ გაიკეთოს და თავი მოიწონოს ძია სემთან, ნატოსთან, ევროპარლამენტთან თუ სხვა არაერთ ჯანდაბასთან? როდემდე უნდა ვცდუნოთ ქართველი ახალგაზრდები, ავღანეთი იქნება, მაღი თუ სო-მაღი, მაღალი სამხედრო სამიგლინებო ანაზღაურებით, რომ გაღატაკებული ოჯახების მიხმარების სანაცვლოდ საზარბაზნე ხორცად იქცნენ?..

საქართველოც, შენ ვინ მოგვა შევით დასაკარგავიო – მარტო ლექსად შეცხადება რომ არ კმარა და მაინც ვკარგავთ, ასე უაზროდ, ავღანეთშიც და სხვაგანაც? ამ ჩემი ცოდვით სავსე, ამ ჩემანალა, ამ ნაცსიან დღეს დაბადებულმა ნაცებმა იდეოლოგიური ბრძოლის ახალი, ნაცური იდეოლოგიის ერთ-ერთ იარაღად ყოველივე საბჭოურის, ახლო წინაპართა (დედამისების, ბებიათაების, ბაბუათაების, მზია ბებების) წარსულის გამოა, შეჩვენება, გაქილიკება აირჩიეს; სტალინის ძეგლებს განადგურებით, ოკუპაციის მუზეუმის

გახსნით, ჩერქეზთა გენოციდის აღიარებით, საბჭოთა ხალხების დიდი სამამულო ომის სხვის ომად გამოცხადებით, ამ ომის მხოლოდ მეორე მსოფლიო ომად მიიწოდებით... რა, ვე რეი სხვისი, ესე იგი, რუსეთისა იყო და ავღანეთში ომია ჩვენი?

ავღანეთში ომი უფროა ჩვენი? არ ყოფილიყო რუსეთი და დაეპყროთ საქართველო ნაცისტ ფაშისტებს – იმათი მონობის უღელში ცხოვრება გერჩიათ, ნაცებო, რუსეთთან თანაცხოვრებას? თუ იმ ნაცისტებში თქვენი, ნაცების, მონათესავე, სულიერებით ახლოს მდგომ „რასას“ ხედავდით? რასაა, რომ გაიძახით, კიდევ ერთხელ გეკითხებით – „ის“ ომი სხვისი იყო და „ეს“ ომია ჩვენი? ყოველივე საბჭოთას რომ ავრე ცინიკურად ასამარებთ, არაერთი საბჭოური ფენომენის შენარჩუნება გადარჩენა რომ არ გვანყენდა არავის – დაიქრებულხართ ამაზე?.. ან ის თუ გიფიქრიათ, რომ ეს საქართველო, „პროცენტულად“ რომ ასე იქაჩება ჩვენზე; მოდ ერთი, ჭკუა ვასწავლოთ... და შემოგვიგზავნეს ტერორისტები და დაგვიწყეს და მოგვინყვეს დივერსიები (გამიხმეს ენა!).

ამას ახერხებენ და აკეთებენ აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში – ჩვენთან გაუჭირდებათ? უშიშროების საბჭოს გაყინულმა მდივანმა არ გვიშველოს ერთბაშად თავისი შორსმჭკრეტელი ფართოდ მოჭუტული თვალებით დიდად გველენიან ცოლთან ერთად... გიფიქრიათ-მეთქი ამაზე ნაცთა რჩეული იდეოლოგები?

...ერთხელად, ქართველებო, გვითხრა ერთხელ ერთმა ბრძენმა კაცმა, მაგრამ ვაი, რომ, ვერა და ვერ ვისწავლეთ ვე სიფრთხილევაი, რომ ასე სტკევა თავი მაგ სიფრთხილეს...

პარდია პედოიძე

კონფლიქტის ზონა

პითარება იმაზე რომელია, ვიღამ ბაროდან ჩანსო

სამხრეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის 30-მდე წარმომადგენელი გუშინ კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული ვიზიტი ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრედ მდებარე სოფელ ხურვალეთიდან დაიწყო.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იმ ადგილას იმყოფებიან, სადაც რუსმა სამხედროებმა ე.წ. საზღვარი გამოიყენეს და მავთულხლართები გააბეს. მავთულხლართის გავლების შედეგად აღნიშნულ სოფელში რამდენიმე საცხოვრებელი სახლი და მინის ნაკვეთი ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცა.

ე.წ. საზღვარს იქით დარჩენილ დავით ვანიშვილს სოფელში ჩასული დიპლო-

მატები მავთულხლართებიდან ესაუბრნენ. ევროპელი დიპლომატები აცხადებენ, რომ ვითარება იმაზე რთული დახვედათ, ვიდრე ინფორმაცია ჰქონდათ.

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი გიორგი ვოლსკი კი აცხადებს, რომ იმ შეფასებების ვარაუდულურად, რასაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ბოლო ორი კვირის განმავლობაში აქტიურად აკეთებენ, მათ აუცილებლად უნდა ენახათ რეალურად არსებული ვითარება კონფლიქტის ზონაში. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ განცხადებებს და ვიზიტის ორგანიზებას გიორგი ვოლსკი დადებითად მიიჩნევს.

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა ხურვალეთიდან გუგუთიანთ კარსა და დივში გადანიაცვლეს.

ინტერპრეტი

ჩვენი

საქართველოს რესპუბლიკელს ხელს ართმევს სერბი მისხი

ბეზაოი „საქართველოს რესპუბლიკის“ დაარსების 95 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს ყურნალისტთა შემოქმედებითა კავშირმა საგანგებო შეხვედრა მოუწყო რედაქციის ყურნალისტებს. კავშირის თავმჯდომარე ჰამლეტ გეგეამ საპატიო დიპლომი და სამახსოვრო საჩუქარი გადასცა გაზეთის რედაქციას.

ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სერბი მესხის პრემიით დაჯილ-

დოვდენ „საქართველოს რესპუბლიკის“ ძველი და ახალი თაობის წამყვანი ყურნალისტები: ოთარ სუციშვილი, გივი ჯახუა, თამაზ ებანოიძე, ოთარ ტურაბერიძე, თამაზ შაიშველაშვილი, თეა მისია, დავით მხეიძე, გია გაბრიჭიძე.

გილოცვათ, კოლეგებო! გვჯერა, რომ თქვენი კალამი კიდევ დიდხანს მოემსახურება ჩვენი სამშობლოს გადარჩენასა და აღორძინების საქმეს. გფარავდეთ ღმერთი!

პითხოვ სიტყვას!

ამ სათაურით „სრ“-ში (26.03.13) გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ ორ თვეზე მეტი გაიდა. ამ დროის განმავლობაში განვითარებული მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში მდგომარეობის მიღწევა, ჯერ კიდევ გაუხადებელი ნაბიჯები იდგმება ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო 9-წლიანი მოქმედების გასაწინააღმდეგო. მძაფრად იგრძნობა ქვეყნის მართვაში გარეშე ძალების გავლენა, რის გამოც ბევრი ლონისძიება (მათ შორის ახალი მთავრობის მიერ ძალაუფლებაში მოსვლისას გატარებული), განუხორციელებელია, უფრო მეტიც, ბევრ ლონისძიებაზე (როგორცაა მრეწველობის განვითარება, განათლების დამახინჯებული, ქვეყნისთვის საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მეცნიერების განვითარება, საზოგადოებაში ნამდვილად, და არა ფსევდოდემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრება, მასმედიის განვითარების საკითხი და სხვ.) მკვეთრად გამოხატული, პარლამენტში განხილული და მოწონებული კონცეფციაც არ გვაქვს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში იგრძნობა ძველი ხელისუფლების მეთოდი – საზოგადოების ყურადღების გადატანა სხვა პროცესებზე, რომლებიც სტრუქტურულ მდგომარეობაში აყენებს საზოგადოებას და ხელს უწყობს მის დეგრადირებას.

ახალი მთავრობის მიერ ამის საწინააღმდეგო ქმედებებს თან სდევს დასავლეთის ქვეყნების გარკვეული წრეების ვიშ-ვიში საქართველოში დემოკრატიის შეზღუდვის შესახებ.

გარკვეულწილად ამის ბრალია, რომ საზოგადოებაში ახალი მთავრობისადმი ნდობის ფაქტორი კლებულობს (რასაც საკმაოდ ეფექტურად იყენებენ ნაციონალური, იზრდება ანტიდასავლური (განსაკუთრებით ანტიამერიკული) განწყობა (რისი ხელ შეწყობი, სამხრეთ-აღმოსავლეთით აშშ-ის და სხვ. საელჩოებია).

ქვეყნის განვითარების ძირითადი საკითხებიდან საზოგადოების ყურადღების გადატანის სამ მაგალითს მოვიყვან, რომლებიც ამ ბოლო ხანებში მოხდა: **გ. მერაბიშვილის დაპატიმრება; გეების პარადი; პრეზიდენტობის კანდიდატურების დასახელება.**

მთელი აჟიოტაჟია ატეხილი ამ თემების ირგვლივ.

მივუდგეთ ამ საკითხებს საღი აზრიდან გამომდინარე.

ნაციონალების მიერ 9 წლის განმავლობაში ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული ნუთუ კიდევ საკამათოა? მაშ, რატომ უგულვებელყო ქვეყნის უმრავლესობამ სააკაშვილის მთავრობა და ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“?

გ. მერაბიშვილი წამყვანი ფიგურა იყო და, ცხადია, მისი ქმედებები დასჯადია. რა პრობლემა უნდა წარმოიშვას ამასთან დაკავშირებით? ნუთუ ვინმე უნდა დაეჭვადეს მის დანაშაულობებში? ეს კოაბიტაციის გავლენა ხომ არ არის?

როგორც ამბობენ, ვილა-ვილა ცუბი (სხვა ტერმინი ვერ მომიძებნია მათთვის) დაცვის ლოზუნგებითაც კი გამოდიან (უსინდისობას სანამდე მიჰყავს ადამიანი!). ეს იმ არათანამიმდევრული პოლიტიკის შედეგია, რომელსაც დღევანდელი სამართალდამცავები ატარებენ (ნუთუ ბაჩო ახალაიას საქმე მაგალითად არ გამოდგა?). მაღე, ალბათ, გ. მერაბიშვილს საქმეს „დრეიფუსის საქმედ“ აქცევენ. იქნებ დროა, ხალხის სურვილს სამართლიანობის აღდგენის შესახებ მკვეთრად დაეჭიროს მხარი?

რაც შეეხება მეორე აჟიოტაჟს, რომელიც ასე ფართოდ აიტაცა მასმედიამ, საღი აზრიდან გამომდინარე, შეიძლება შემდგომად შეგავსოთ: დადებითი იყო ის, რომ ფაქტობრივად ვერ და ბერის აღსდგა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ავადმყოფობაა თუ ჩვევა, ორივე შემთხვევაში ეს ცუდია, და ცუდს უნდა ებრძოლო, და ამას უნდა ებრძოლოს საზოგადოება. ცხადია, არ არის საჭირო ცემა-ტყევის მეთოდით ბრძოლა. ისეთ არადემოკრატიულ სახელმწიფოში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, ვინმეს გაუგონია რაიმე ძალადობა ამ ადამიანებზე? ჩვენი საზოგადოება უარყოფითად იყო განწყობილი მათ მიმართ. ხალხის რეაქცია გვიჩვენებს, რომ ეს ჯანსაღია. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის უარყოფითი შეფასება, რაც ძალადობის გამო გამოითქვა გარკვეულ წრეებში (რომლებიც კვლავ უცხოურ დასავლეთის წინაშე). დასანანია, რომ ამ წრეებმა ეს ამბები მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ გამოიყენეს (აფერუმ მათ პატიოსნებას, ფულის გამო, სული წაიწყმიდეს).

კიდევ ერთი აჟიოტაჟის შესახებ, რომელიც ეხება პრეზიდენტობის კანდიდატურის განხილვას. საღი აზრიდან გამომდინარე ვსვამ კითხვებს:

ძალიან ადრე ხომ არ დაიწყო ამ საკითხის გაუფრებდა თვით მთავრობის მხრიდან? არ შეიძლებოდა არჩევნებამდე 2 თვით ადრე დაწყებული კანდიდატურების დასახელება?

იქნებ მთავრობის ამ მოქმედებამ გაააქტიურა ორი ღირსეული ქალბატონი: ნინო ბურჯანაძე და სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობისათვის მართლმართული რბოლაში ჩასაბმელად? მათ გარკვეული მასების მხარდაჭერაც მიიღეს ამ მიმართულებით. თავიდანვე ვამბობ, რომ ორივე ქალბატონი გონიერია, გარკვეულად გამოცდილებამიღებული და ქართველმა ხალხმა, ცხადია, უნდა გამოიყენოს ისინი მაღალ თანამდებობებზე. მაგრამ არა პრეზიდენტად!

ქნინოს სპიკერობის დროს დაშვებული შეცდომები, მის მიერ თავის დროზე ხალხის აზრის იგნორირება, მის ოჯახზე შექმნილი აზრი, ვფიქრობ, არ იძლევა მისი გაპრეზიდენტების საშუალებას, განსაკუთრებით ასლა, მ. სააკაშვილის შემდეგ.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში, რომ მან თავის დროზე ვერ შეაფასა ქართველი ხალხის მიერ მიღწეული პოტენციალი, რაც, ალბათ, საქართველოში ცხოვრების მცირე დრომ განაპირობა.

მე არ განვიხილავ ბ-ნ შ. ნათელაშვილის კანდიდატურას, რადგან ის საპრეზიდენტო პარამეტრებში ვერ ჯდება. ასევე ნონსენსად მიმაჩნია, ცხადია, ნაციონალური დანაშაულები ვინმეს წამოყენება პრეზიდენტად.

ვისაც არ ვკითხვ, ყველა დამეთანხმა, რომ: **საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატურა უნდა წამოვიდეს ხალხის წინააღმდეგ და დასახელებს ხალხის მიერ; ქვეყნის პრეზიდენტი უპირველესად უნდა იყოს პატიოსანი ადამიანი, ქვეყნისათვის თავდადებული, თავის ხალხზე უსაზღვროდ შეყვარებული პატიოსანი, რომელიც**

სად დაიკარგა საღი აზრი - 2



იხელმძღვანელებს ქვეყნის ინტერესებით და ქედს არ მოუსრის არავითარ უცხო ძალას. მან უნდა გაატაროს ქვეყნის სასარგებლო დამოუკიდებელი პოლიტიკა (ცხადია, ეს არ გამოირჩევა სხვა ქვეყნების ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხების მსგავსებაში მიღებას); ქვეყნის პრეზიდენტმა კარგად უნდა იცოდეს ქვეყნის განვითარების ძირითადი პრიორიტეტები და ამ განვითარების რეალიზაციის გზები; ქვეყნის პრეზიდენტმა უნდა შეძლოს გააერთიანოს მთელი ხალხი; ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს გამჭრიახი პოლიტიკოსი და შეძლოს ყველა ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარება. მან ვერ უნდა გაიყვანოს იმ ლაბირინთებიდან, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სხვა სახელმწიფოების (განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოების) ერთმანეთთან ურთიერთობის დროს. ქვეყნის პრეზიდენტი უნდა იყოს ბუნებით დინჯი, აუჩქარებელი, უნდა შეძლოს სხვების აზრის მოსმენა და სათანადო დასკვნის გაკეთება; პრეზიდენტის ოჯახი უნდა იყოს წესიერი, ნორმალური ქართული ოჯახი, პატიოსანი და თავისი ქვეყნის მოყვარული.

ვფიქრობ, საქართველოში ასეთი მოიძებნება, მთავარი, ხალხმა მოინდომოს და იბრძოლოს ასეთი პიროვნების პრეზიდენტად არჩევისათვის.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც დღევანდელი მასმედიის საქმიანობას ეხება.

ალბათ, ყველასათვის გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მასმედიას მასმედიის განვითარების თვალსაზრისით. ტყუილად არ ეძახიან მასმედიას მე-4 ხელისუფლებას.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დღევანდელი მასმედია (მცირე გამოცემის) წარმოადგენს არა მე-4 ხელისუფლებას, არამედ მე-5 კოლონას.

გაუგებარია ახალი მთავრობის პოლიტიკა ამ მიმართულებით. ხალხი ენდობა ბ-ნ ბ. ივანიშვილს, ახალ მთავრობას, რომელმაც აიღო ვალდებულება ნაციონალურ 9-წლიანი მმართველობის დროს ქვეყნის საზიანო მოქმედებების ნაცვლად ქვეყნის განვითარების ლონისძიებები გაატაროს და ამ დროს მასმედიის ყველაფერი იგივე რჩება, რაც ნაცვების დროს იყო. სასაცილო პირდაპირ, ისევე „ნანუკას შოუ“, მაკა ასათიანის „პროფილი“, „რუსთავი-2“-ის „კომედი შოუს“ ბიჭები, არაპროფესიონალი ჟურნალისტები და სხვ. ეს ხომ ნონსენსია.

ნუთუ არ ჩანს პაიჭაძის, კვეციანის, შუბლაძის ირონიული, დამცინავი დამოკიდებულება ნაცვების მონინალმდეგების მიმართ? ნუთუ არ ჩანს, ვინ გამოჰყავთ ეკრანზე სასაუბროდ? გავაკეთოთ ერთი დღის ჭრილი ჩვენი დღევანდელი მასმედიისა (განსაკუთრებით ტელევიზიის) და შევაფასოთ რით კვებავს ის საზოგადოებას?

უაზრო შოუები, როგორც წესი, ნეგატიური მოვლენების გადმოცემა (ავარიები, ტრაგედიები, სტიქიები რაც მსოფლიოში ხდება), ისეთი ხალხის გამოყვანა, რომლებიც ქართული საზოგადოების მონინალმდეგ ნაწილს ნამდვილად არ წარმოადგენს, ემოციებზე ყურადღების გამახვილება. ღირსეული ადამიანები იშვიათად თუ ჩნდებიან ეკრანზე. „მაესტროც“ კი, რომელიც ობიექტურობას იჩემებდა, არ იცის რას აკეთებს. მაგალითისათვის: ამ რამდენიმე დღის წინააღმდეგობაში მყოფი გა-მოიყვანა ჟიჟილაშვილი პატიმრობის შემდეგ და, როგორც იტყვიან, „აკაიფა“ (ისე, როგორც შუბლაძემ პრეზიდენტი მ. სააკაშვილი გააღალტა. უნებურად გამახსენდა – მოსკოვში გააღალტა ლეჟურნალისტმა ლისტემა „კობილიდან ოფლი“ ადინა მ. გორბაჩოვს, ისეთ მარნუხებში მოაქცია).

ან რა აჟიოტაჟი ატეხა მასმედიამ გეების პარადის დარბევის შემდეგ. ყველა არხი ძირითადად აკრიტიკებდა გეების მონინალმდეგებებს (ისეთი კონტინგენტი ჰყავდათ მონიშნული) და რელიგიასაც მისწვდნენ. ლაშა ბულაძე არ ხილდნ არხზე დარბოდა, არავის ლაპარაკს არ აცდიდა და თავს ინონებდა თავისი უაზრო მანიპულირებებით (ასეთ მწერალს რა პატივი უნდა სცეს საზოგადოებაში?).

საერთოდ, რა პროგრამები აქვს ჩვენს მასმედიას? ნუთუ ამ პიარების გარდა ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეზე გადაცემას ვერ მოიფიქრებენ? ათასი საკითხია, რომლებიც მასმედიის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს, არის ხალხი, ვინც მშვენივრად იცის, რა უნდა გაკეთდეს. სად არის ეს საკითხები, სად არის ეს ხალხი მასმედიისთვის? გაუგებარია ასეთი მასმედიის არსებობა. ალბათ, ზოგიერთი მკითხველი იტყვის, თუ მასმედიას შეეხებით, მთელი დასავლეთი ჩვენს წინააღმდეგ აღსდგებაო, იტყვიან, დემოკრატია ილუზუბა საქართველოშიო. კარგი ლოკუკვა: თუ ქვეყნის საზიანო მასმედიის დავტოვებთ და ქვეყნის სასარგებლოდ მოქმედ მასმედიას ჩავძირავთ, ეს დემოკრატიაა?!

მასმედიასთან დაკავშირებით ერთი საკითხი უნდა დავისვას მთავრობის წინაშე. ზოგიერთ გაზეთში ქვეყნდება წერილები, სადაც საქმიანი წინადადებაა; ალბათ, არის (უნდა იყოს) მთავრობასთან საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ორგანიზაცია, მათი ვალია საინტერესო, საქმიანი წინადადებები მოაწოდონ მთავრობას რეაგირებისთვის. სამხრეთ-აღმოსავლეთი რეაქცია მთავრობისგან არ გამოიყო. კომუნისტების დროსაც კი, იმ საშინელი პარტიული დიქტატის დროსაც კი, გაზეთში გამოსულ მასალებზე საკმაოდ მძაფრი რეაქცია იყო მთავრობიდან, დამნაშავეებს სჯიდნენ კიდევ.

ვფიქრობ, მასმედიის საკითხი ქვეყანაში მოსაგვარებელია, რასაც ხალხი მოუთმენლად ელოდება, ისე როგორც სამართლიანობის აღდგენას.

ზონდო ჩიკვაძე

ალიან-ჩალიანი

დავნილები წელიწადნახევარი ქუჩაში არიან

ბათუმში მცხოვრები დევნილები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას პრობლემის მოგვარებას სთხოვენ. დევნილები ილია ჭავჭავაძის ქუჩიდან შეიკრიბნენ და აღნიშნეს, რომ კარგის გაშლას აპირებდნენ, თუმცა, გლოვის დღესთან დაკავშირებით, დაღუპულთა ოჯახებს თანაუგრძობდნენ. დევნილები აცხადებენ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მათი პრობლემის მოგვარება აჭარის მთავრობის თავმჯდომარეს დაავალა. — ერთი წელი და შეიძლება ქუჩა-



ში ვდგავართ. პრემიერ-მინისტრი შეგვიბრდა, რომ მოგვარებდა პრობლემას. 7 მაისს შეგვადით პრემიერს, რომელმაც არჩილ საბაძეს უთხრა, ერთ კვირაში განეხილა საკითხი და თუ ბინები ჩვენთვის არ იყო, ალტერნატივა გამოიყვანა. მას შემდეგ 1 თვე გაიდა, თუმცა, არჩილ საბაძის პასუხი ის იყო „რომ მას არაფერი შეუძლია და საკითხი ცენტრალური მთავრობის გადასანყვეტია“, — აღნიშნა დევნილმა ნანა ჭანტურია. დევნილების თქმით, ისინი გლოვის დღეების დამთავრებისთანავე გაშლიან კარგებს, შემდეგ ქუთაისში პარლამენტთან გადაინაცვლებენ, მოგვიანებით კი თბილისში გააგრძელებენ აქტივებს. ინტერპრესი

მინის ყიდვა-გაყიდვის თემა დღეს უაქტუალურესია. საზოგადოებრიობა მღვდელმთავრებს თვალს ქართული მინის უცხოელზე გასხვების პროცესს. ინდოელები, არაბები, თურქები თუ სხვები ხარბად ყიდულობენ მინას, მეტიც: ყიდვა-გაყიდვის საგნად აქცევენ მას. რა გზას დავადგეთ, მივუშვათ ეს საქმე თვითონებზე საერთოდ აგვიტოვოთ, იქნებ კანონის ფარგლებში მოვაქციოთ იგი? ამ თემაზე თვით ილია ჭავჭავაძე ფიქრობდა თავის დროზე, როცა საშინაო პირველი ნიშნები გაჩნდა. ამ საკითხს ეხება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მამარ მამულაშვილის წინამდებარე სტატია

ილია ჭავჭავაძემ 1902 წლის ივლისში „ივერიაში“. გა-მოაქვეყნა სტატია „ნუ დაუპარგავთ შთამომავლობას მა-მულ-დედულს“. მისი მიზანი იყო ახალი ეკონომიკურ-სო-ციალური პირობების ანალიზი, რაც საბაზრო ეკონო-მიკის შემოჭრამ განაპირობა. ამ კუთხით, საბაზრო ეკო-ნომიკის დამკვიდრების ისტორიული პერიოდში სპეცი-ფიკური გამოვლინებით ჩვენი დღევანდელი ზოგ ას-პექტი ჩამოჰგავს XIX საუკუნის 90-იანი წლების საქარ-თველოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ პირობებში. აქედან გამომდინარე, ილიას ზო-გიერთი ეკონომიკური კონცეფცია, მისი პოლიტიკური მნიშვნელობის გამოც, უაღრესად აქტუალურია, ისევე რო-გორც ზოგადად მთელი მისი პოლიტიკურ-იდეოლოგი-ური და სოციალურ-ეკონომიკური მეცნიერება.

მიუხედავად პოლიტიკოსების, როგორც ილია იტყობდა, „ფიცლი-ფიცლისა“, რამდენად გათვალისწინებულია მი-სი ყოველისმომცველი იდეები დღევანდელ საქართველო-ში? ეს ერთ კონკრეტულ, სათაურში ატანილ პრობლემას-თან კავშირში განვიხილოთ.

ილიას ღრმად სწამდა, რომ „საქართველოს სამომავლო ბედი ეკონომიკური ბრძოლის ველზე წყდება“ და თავი-სი ბრძენი გონება ახალი პოლიტიკურ ეკონომიკური ფორ-მაციის ყველა უმნიშვნელოვანესი ასპექტის გამოკვლე-ვისკენ მიმართა. ამის პარალელურად და მასთან კავშირში ქართული ინტელექტუალური აზრის წინაშე დაეყენა გა-მოსაკვლევო პრობლემების რიგი, რომლებიც ილიამდე, როგორც აკად. ივანე ჯავახიშვილი წერს, „აზრადაც არა-ვის მოსვლია“. ეს შეფასება ივანე ჯავახიშვილმა წამო-აყენა და დაასაბუთა ილიას სტატიის „ძველი საქართვე-ლოს ეკონომიკური წყობის შესახებ“ ანალიზის საფუძ-ველზე, რომელიც 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭ-და, (მას იმ პერიოდში ილია და სერგეი მესხი რედაქტო-რობდნენ).

ილია აქაც, ისევე როგორც ადრინდელ და გვიანდელ სტატიებში, მკითხველს კიდევ ერთხელ გულისტყვივით შეახსენებს, რომ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელო-ვანესი პრობლემატიკა შეუსწაველია, რომ „ჩვენი ხალხის და ქვეყნის ისტორია მეტიად ბნელია და შემუშუავებული... ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უტონობი ჩვენიანა“.

ილიას არა აქვს იმის პრეტენზია, რომ ეს სრულიად შე-უსწაველი, რთული პრობლემა ამომწურავად გააშუქოს და მოკრძალებულად მიუთითებს – საამისოდ „არც მომ-ზადება გვაქვს და არც საქმის წყარო“. მისი სურვილია მკითხველს, განსაკუთრებით მათ, ვინც ამ საკითხებით და-ინტერესდება ან კვლევით იკვლევს გაიხდის, „რამდე-ნიმე აზრი, ისიც ვარაუდობთ ცნობილი“ გაუზიაროს. ეს „ორიოდე აზრი“ კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართვე-ლოს ეკონომიკური სიძლიერის განმსაზღვრელი გამოუდ-მებული ომებისა და ჭირ-ვარამის პირობებში მინათფ-ლობელობისა და მინათფლობელობის ეროვნული ფორ-მები ყოფილა, რომლებიც, ილიას აზრით, საქართველო-ში გაცილებით სამართლიანად იყო ორგანიზებული, ვიდ-რე რუსეთში და სხვა ქვეყნებში. მინათფლობელობის ქარ-თული სპეციფიკის არსი კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში უმინო გლეხი, ზოგადად სოფლის ბინა-დარი არ არსებობდა: „...დღეს ჩვენში გლეხიც იმისთანა მფლობელია მინისა როგორც თავადი, აზნაური, ეკლე-სი; დღეს ჩვენში გლეხი მეგვიდრეობით ბინადარია იმ მამულზე, რომელიც ყოველ გლეხს მამა-პაპით დაჩემე-ბული აქვს“.

წერილების ციკლში „კერძო და სათემო მინათფლო-ბელობა“ ილიამ მინათფლობელობის სუთივე ისტორი-ული ფორმა (კერძო, სახელმწიფო-სახაზინო, სათემო-სა-სოფლო, საეკლესიო-სამონასტრო და სხვ.) მიმოიხილა და მიუთითა, რომ ამ ფორმების თანაფარდობა ქმნიდა ინ-ტერესების გარკვეულ ბალანსს საზოგადოებაში. საკუთ-რების ამ ფორმებიდან რომელიმეს პრიორიტეტი იწვევდა „უსწორ-მასწორებას მინათფლობელობაში“ და ინტე-რესთა დაპირისპირებას. ამის გამო ილია უარყოფითად აფასებდა საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პირობებში კერძო კაპიტალის შეტევას ეკონომიკის ეროვნულ ტრა-დიციებზე: „აქომამდე ჩვენი ხალხის გონებაში ვერა თავ-სდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სასოფლო“. საკომლო მინები კომლის სა-კუთრებას შეადგენდა და ეს უზრუნველყოფდა ჩვენი წი-ნაპრების პირად ინტერესს. სასოფლო (სათემო) საკუთ-რებაში მყოფი მინის ნაკვეთების გაუყოფელი მინები, მინ-დორი, ქალა, ტყე საზოგადოებრივ საკუთრებაში იყო და მთელ სოფელს შეეძლო სარგებლობა.

ასეთმა სამართლიანმა განაწილებამ მთელი მოსახლეობა მინათმომქმედებას მიაბა, რამაც საქართველოს კლიმატურ-ი და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით დიდი მოსავალი მისცა საზოგადოებისათვის. ილია გაგანგებოდ აღნიშნავს, რომ ინტერესთა ბალანსის დაცვას „ქვეყნის პატრონები“ უფროსხილდებოდნენ, რადგან ქვეყნის პოლი-ტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის გარანტი იყო.



ნუ დაუპარგავთ შთამომავლობას მამულ-დედულს

ეს იყო, ივანე ჯავახიშვილის აღიარებით „საქართველოს ისტორიის ფილოსოფიის“ ის „პირველხარისხისოვანი ამო-ცანა“, რომელიც ილიამ ქართული სამეცნიერო აზრის წი-ნაშე დააყენა. „სასხვათაშორისოდ ორიოდე აზრი“, რო-გორც ილია თავის მოსაზრებებს უწოდებდა, ივანე ჯა-ვახიშვილის „გზის გამკვალავ“ ორიენტირად მიაჩნდა ქარ-თული ეკონომიკის ისტორიული ფორმების „მაგარი ქვე-ბის“ მოძიების საქმეში. შემთხვევითი ისიც არ არის, რომ მან თავის ნაშრომში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“ ილიას მოსაზრება, რომ ტყისა და მინდორის კერძო საკუთრებაში გადასვლის აზრიც კი ქართველი კა-ცის გონებაში ვერ თავსდება, ხაზგასმით (პირდაპირი მნიშვნელობით) აღნიშნა.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პირობებში კვლავ აქტუალური გახდა „მამულის“, როგორც ქართული ეროვნული ცნობიერების მაინდენტიფიცირებელი ფაქტორის მნიშვნელობა, რადგან მამულ-დედულმა ჩვეულებრივი სა-საქონლო თვისებები შეიძინა. მინისადმი ქართული ტრა-დიციული მენტალიტეტიდან გამომდინარე განსაკუთრე-ბული დამოკიდებულების მიუხედავად, ის, როგორც სიმ-დიდრის ერთი სახეობა, ყიდვა-გაყიდვის საგანი ხდებოდა. „სიმდიდრე კი იმისთანა ბუნებისაა, რომ ყოველთვის მი-ურბის ხელიდან უუნარო და უქმს და მიეხილება უნარი-ან და საქმიან კაცისკენ“. ასეთ პირობებში ილია მზად არის, კიდევ ერთხელ შეახსენოს საზოგადოებას „მამულის“ მნიშ-ვნელობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში: „ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწა-წყალი, უმისოდ ჩვენი თავი ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა, ამ მოფრებამ მი-წაზე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შექმნა თავი ჩვენი ის-ტორიაც. რა არის ჩვენი წარსული თუ არა გაბმული, შე-უწყვეტელი ბრძოლა მიწა-წყლის დასაცველად, იმ იარა-ღის შესანარჩუნებლად, რომლითაც ქართველს შეეძლო არსობითის ბრძოლაში ბურთის გატანა“.

ილია შემოფოთებით, როგორც „ფრიად სამწუხარო“ ამ-ბავს, აღნიშნავს, რომ ყოველის მხრიდან მოდის ცნობები, რომ ჩალის ფასად, მათ შორის უცხოელებზე იყიდება მამულები, რომლებიც „მილიონობით საღირალია“. ილიას შემოფოთებას ისიც აძლიერებს რომ ამ პროცესის შეჩერების ან შენელებ-ის წინაპირობა არ ჩანს და რომ „...მამაც წინაპართაგან და-ცული და გაბოხიერებული მამულ-დედული, ეს უშრეტი წყარო დამოუკიდებელი ცხოვრებისა, ეს ძვირფასი თვალი და ობოლი მარგალიტი“ შთამომავლობას შერჩება.

მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ ილია მინაზე კერძო საკუთრებას „დამოუკიდებელი ცხოვრების უშრეტ წყაროდ“ მიიჩნევს და მისი სხვის, უცხოების ხელში გადას-ვლა სწორედ ინდივიდუალური დამოუკიდებლობის და-კარგვის ტოლფასია, რადგან კერძო საკუთრება ყოველ-გვარი თავისუფლების საფუძველია. მამულისთვის გაყიდ-ვა „შთამომავლობის განირვან“, რადგან ისეთი ვნება და შეცდომაა, რომელსაც ვეღარ გამოასწორებ: „გინდ ნებ-სით გაიყიდოს მამული, გინდ უნებლიეთ, ორივე შემთხ-ვევაში გამყიდავი დიდ დანაშაულს იდებს კისერზე წი-ნაშე თავისი მეგვიდრეობისა და წინაშე მთელის სამშობ-ლოსი. მისი საქციელი ვეღარ გასწორდება ვერც წინაწუ-ლით და ვერც დროყამის მსვლელობით. ძვირფასი თვა-

ლი ერთმა ბრიყვმა წყალში ისროლო და ათასმა ჭკვი-ანმა ვეღარ ამოიღო. ასეა მამულის გაყიდვის საქმეც“. უცხო მყიდველი სახლდება ნაყიდ მიწაზე, ღობეს შემოაყე-ლებს, არსებსა და რუებს გასწმენდს, ვენახებს, ზვრებს, ტყეს ასუფთავებს, ყველგან თავისიანებს ასახლებს, ხდება არემარ-რეს პატრონი და „უფლად ბინადარი“ ქართული სასახლე-ბის, კერისა, საყდრებისა და საფლავებისა ცი. მასში აღე-ბუნალი ფული კი იფლანგება და ქართველთაგანთა ნიადაგა და წყალიდება“, – აღნიშნავს ილია.

„ერთი იქნეს საუკუნო სამკვიდრებელს, მეორე ჰკარგავს იმ მასაზრდოებელს წყაროს, რომელსაც ჩვენ ქართველები სამართლიანად ვუწოდებთ დედა-მინას. ერთი იქნეს უშ-რეტ წყაროს ცხოვრებისას, მეორე ითვლის ბრწყინალა-ლითონს, რომელიც იმდენად არას ჰმატებს კაცს, რამდე-ნადაც თავის მონად ხდის მანამდე თავისუფალ არსებას.“

მამულის უცხო ტომელებზე გაყიდვის შეფასება მკვეთ-რად კატეგორიულია, უღირს საქციელად, უზნებობად მი-აჩნია, რომელსაც გამართლებას ვერავე მოუძებნის და ლალარის კატეგორიამდე აყავს: „ამიტომაც დედა-დედულ-მა-მულს სხვა ტომ-მოდგმის ხელში ჩამდგმულს ყველა ქვეყ-ნებში ზიზით უყურებენ, მას აღარ სთვლიან თავის სისლ-ხორცად, მას აცხადებენ მამულის მოღალატედ და ყველას ავალებენ მასთან შეწყვიტონ ყოველივე კავშირი და და-მოკიდებულება“.

მაქვს პრეტენზია, განავაცხადო: ზედმინ ევნიტ სრულად ვიცნობ ილიას პუბლიცისტიკას, მისი კრიტიკის ყველა მი-მართულებას და ადრესატს. ასეთი ვინ არ ყოფილა, მეც-ნიერი, მწერალი, ჩინოვნიკი და სასულიერო პირი. კრი-ტიკის საგანიც უამრავი იყო, მათ შორის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი – ეროვნული ღირებულებების ხელ-ყოფა. კრიტიკის შინაარსიც სხვადასხვაგვარი იყო – რბი-ლი, ნახევრად მკაცრი, მკაცრი, რადიკალურად მკაცრი და შეურაცხყოფელიც კი, რაც ხშირად პიროვნული დაპი-რისპირების საფუძველი ხდებოდა. მაგრამ არავისთვის ილიას მოღალატე არ უწოდებია. თუმცა მიუთითებს, რომ ასეთად მამულის გამყიდველებს უცხოეთში თვლიანო, ჩვენში კი, აგრძელებს ილია, „მამულის გამყიდველები დიდ პატივს მიატოვებენ ითვლებიან და ის გაბედულებაც აქვთ, რომ, ვინც ამის წინააღმდეგია, ისინი გამოაცხადონ მამულის მოღალატეებად“. „როგორც არ გაიყიდება დედა, ისე არ გაიყიდება დედამინა, თუ რასაკვირველია მისი მტკენი ირალი და უძლები შვილი არ არის“. განათლებული ერის შვილები, თუ საშობლოში ვინროთ არიან, სხვაგან მი-დებიან, სწირად „საშმიან და გველიან ადგილებში სახლდე-ბიან“, მხნობენ, ირჯებიან, იქნენ დიდძალ ქონებას, აარ-სებენ ქალაქებს და ცხოვრობენ უზრუნველად.

ჩვეთთან კი მდიდარ დედა-მინას, უხვ ნიადაგს და ტურფა, თვალნარმეტაც მინდორ-ველებს მორჩნუნენ წყლებით, მამა-პაპათა ოფლით გამშვენიერებულს ცვლიან ოქროზე და მა-ლე გლახაკებიან.“

მკითხველს არ უნდა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ ილია სა-ბაზრო ეკონომიკის პრინციპების უგულვებელყოფას ახდენ-და და ვერ ხვდებოდა ებოძის სულისკვეთებას. პირდაპირ უნ-და ითქვას, რომ საქართველო საზოგადოებას ახალი ფორმა-ციის უმთავრესი პრინციპები, მათ შორის კერძო საკუთრება, რომელსაც ის კაცობრიობის უდიდეს მონაპოვრად თვლიდა, არავის უგულვებია. ის დარწმუნებული იყო, რომ ეროვნული ტრადიციებისა და მენტალიტეტისათვის მავნე ამ პროცესების ტარება შეუძლებელი იყო, მაგრამ მისი უარყოფითი ზეგაე-ლენის შესარბილებლად გარკვეული რეკომენდაციებიც ჰქონ-და შემუშავებული. „მამულის პატრონს ნება აქვს თავისი სა-კუთრება ისე მოიხმაროს, როგორც მოეპირანება“. მაგრამ თუ მემპატრონე მინის გაყიდვა მოისურვებ, უწინარეს ყოვლისა, მიუკითხოს მეზობლებში, ვის აქვს მისი შექმნის სურვილი. ამასთან დაკავშირებით ილია საყვედურობს პანისის ხეობის მინის მესაკუთრებს, „რომელთაც თავისი მინები ადგილობ-რივ მკვიდრთ კი არა, ჯავის ხეობის ოსებს მიჰყიდეს“. ილია გაახსენებს საზოგადოებას ქართული ეროვნული ცნობიერე-ბის ერთ უმნიშვნელოვანეს ნიშანს, მეზობლობის ინსტიტუტს და ღრმა ემოციურობით აღნიშნავს, რომ „... რაც უნდა მოი-ძულო შენი ღვიძლი მეზობლობა და თვისტოში, მაინც უამა-თოდ ვერ იცხოვრებ, ჭირსა და ღვინში მაინც დაგჭირდება მათი მზრუნველობა, მხოლოდ მათი ღვიძლი ყრმობითვე შეგ სისხლხორცებია შენს სულს-გულს, მხოლოდ მათი აღერსი გაგამხსენებს, რადგან მშობლიური აღერსი უზადოა და თაფ-ლზედაც უტკბილესი“.

ილიას მიზანი ერთია – გასაყიდი მინა ისევე ქართველ გლეხს დარჩეს და ამიტომ მოუწოდებს მინის გამყიდველს, სულგრძელობა გამოიჩინოს და მეზობელს შეაძლებინოს მისი ყიდვა: „თქმულა, ვისაც ორი პერანგი გაქვს, ერთი ტიტველს ჩააცვიო. ამისი არ იყოს, ვისაც გასამეტებელი მამული გაქვს, მცირე მამულიანებს შეაძლე შეაძლე-ბინე მისი შესყიდვა. ჩვენი გლეხი მინის მოყვარეა, მისი საკვირველი შესაიდუმლო და მარად მოტრფილვე. იგი მზა-დაა, თავიც კი დაიგირას, ოღონდ საკუთრებად შეიძი-ნოს ერთი მტკაველი მინა“.

თუ გლეხს მომეტებული მინის რაოდენობა აქვს მფლობე-ლობაში და დამუშავება უჭირს, ილია, მეზობლებზე გაყიდ-ვის გარდა, კიდევ ერთ ვარიანტს სთავაზობს: „...ვისაც დიდი მამული აქვს და არ შეუძლიან მისი მოვლა, უკეთესი იქნება მოიწვიოს თაოსანი ქართველი მუშაკები და გადასცეს მათ იჯარით, თუ არა და, პირობით, რომ გააშენონ, მამა-პაპათა ჩვეულებითსამებრ, სანახევროდ“.

ერთი სიტყვით, ილიას მიზანი და ამოცანა გასაგებია – ჩვენი გადამრჩენელი, ჩვენი ეროვნულობის შემწახველი, მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით გაჯერებული ქართული მინა (მამული) ქართველების სამსახურში უნდა დარჩეს.

ომარ გოგიაშვილი, ისტორიის მკვლევარი, ლექტორი, პროფესორი

რუსი სამხედროების მიერ სოფლებში დაცვა და დანაშაულის სასაზღვრო ხაზის გადმონახვა რამდენიმე სერიოზული საპრობლემო კითხვით უფრო ცხადად წარმოჩინა:

1. საქართველოს მთავრობას ნამდვილად არ უნდა ეგონოს, რომ სააკაშვილის აგრესიული რიტორიკის ხმარებიდან ამოღება იმის იმედს იძლევა, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ დიდი აკრძალვით უნდა მოიქცეს, რომ რუსეთი საქართველოს მიმართ დიდი აკრძალვით უნდა მოიქცეს...

2. რუსეთის მთავრობას სააკაშვილის მთავრობა, მიუხედავად პირადი აუტანლობისა, ძალიანაც აწყობდა. ყველას გასაგონად, ხშირ-ხშირად იმეორებდნენ, რომ სააკაშვილის ისინი არა-სოდეს დაელაპარაკებოდნენ, და ამიტომ არხეინად შეეძლოთ ფეხებზე დაევიდნენ მსოფლიო საზოგადოების სურვილი, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგი დაწყებულიყო...

3. ის, რომ ასეთი დემონსტრაციული და აგრესიული დემარში, რასაც ამ სოფლებში წყლის მომარაგების გაუარესების გამო მოსახლეობის ნაწილის საცხოვრებელი ადგილებიდან აყრა და მცოცავი ანექსიის საუკეთესო პირობების შექმნა შეიძლება მოჰყვეს, სწორედ ახლა იქნა განხორციელებული და არა სააკაშვილის ხელისუფლების დროს, საფიქრებელს ხდის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ რაღაც ისეთი დაინახა, რამაც მისი გალიზიანება გამამაფრა და გადაწვევით, ახალი ხელისუფლება „დასაჯოს“.

3.1 რუსები ძალიან ელოდნენ, რომ ივანიშვილი ნატოს მხრივ წინსვლას დაამუხრუჭებდა, მაგრამ ივანიშვილის განცხადებებიც და ნატოს ოფიციალურ პირთა აღიარებებიც (ახალ მთავრობასთან უფრო უკეთეს კი ვთანამშრომლობთო) სულ საპირისპიროს ამტკიცებს.

3.2 რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებით შეაშფოთა იმან, რომ რეინტეგრაციის პოლიტიკა იცვლება და აფხაზეზშიც და ოსებშიც (განსაკუთრებით - ახალი ერგენეთის მსგავსი ბაზრობის აღორძინებით) შეიძლება ქართველებზე გული მოიბრუნონ.

3.3 რუსეთის ხელისუფლება ელოდა, რომ სააკაშვილი ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევდა ივანიშვილს და ორხელისუფლებიანობის პირობებში საქართველოს ეკონომიკას სტანდარტული და საინვესტიციო შიშვლი ელოდა, ეს კი ხალხის უკმაყოფილებას გაზრდიდა. მაგრამ ეკონომიკური პროგნოზების მიხედვით, მდგომარეობა საკმაოდ მალე გამოსწორდა და უკვე პირველი იმედისმომცემი პერსპექტივებიც ჩანს. თავისი ნაბიჯით რუსეთს ისევ სურს, პოტენციურ უცხოელ ინვესტორებში გაურკვეველობის და საფრთხის მლოდინი დაამკვიდროს.

3.4 შეიძლება უშუალოდ საქართველო იმდენად არც იყოს ამ გადაწყვეტილების მთავარი ფაქტორი: ახლო აღმოსავლეთში, სირიასა და, ახლა უკვე, თურქეთშიც სერიოზული ესკალაცია, რაც უახლოეს მომავალში სრულმასშტაბიანი საერთაშორისო საომარი კონფლიქტის რისკს სულ უფრო ზრდის, რუსეთის მთავრობას კიდევ აიძულებს და კიდევ შეანს აძლევს, რომ მღვრიე წყალში თავადვე შეტოპოს და რაც შეიძლება მეტი თევზი დაიჭიროს. საქართველოსთვის ყველაზე საშიში ვარიანტი ქვეყანაში რუსების სამხედრო კონტინგენტის შემოქრება - ამჯერად იმ საბაბით, რომ რუსულ ნაწილებს სომხეთისკენ სასწრაფოდ კორიდორის გაჭრა დასჭირდეთ და საქართველოს სუვერენიტეტი კიდევ ერთხელ ფეხებზე დაიკიდონ. თუ ეს მთავარი მიზეზია, მაშინ, სავარაუდოდ, მავთულხლართების გადმონევა, ძირითადად, ქართული ხელისუფლების გალიზიანების და სერიოზულ პროვოკაციაზე ნამოგების პირველ ნაბიჯად უნდა განვიხილოთ და, სამწუხაროდ, ალბათ, ამით საქმე არ შემოიფარგლება.

3.5 ძალიან საინტერესო მოსაზრება, რომელიც ლევან ბერძენიშვილმა გამოთქვა ნინო ყიფილაშვილის „პოლიტიკურში“ 4 ივნისს - თუ მართალია ის მოსაზრებები, რასაც ბევრი პოლიტიკოსი თუ პოლიტიკოსი - ირაკლი კაკაბაძე, გოგა ხანიშვილი და ზოგადად ქართული მედია (კერძოდ, ხელი-სუფლებიანგან დამოუკიდებელი მისი ნაწილი) მუდმივად გამოთქვამდნენ ვანო მერაბიშვილის რუსულ ისტებლიშმენტთან საიდუმლო კავშირების შესაძლებლობის შესახებ, მაშინ არაა გამორიცხული, რომ მავთულხლართების გადმონევა, რაც მერაბიშვილის დაკავებიდან 2 დღეში მოხდა, სწორედ რომ პუტინის მკვეთრი რეაქცია იყოს მისთვის ძვირფასი და სანდო პირის ხელისუფლებიდან - უმუშევრობაში, ხოლო ახლა კი - უკვე ციხეში, გადაბარებაზე.

აქვე ვიტყვი, რომ მე პირადად, ამ აზრს მაინცდამაინც არ ვიზიარებ. თუ ვანო ივანიშვილი მართლაც რუსეთის აგენტია (რასაც არ გამოვრიცხავ), მაშინ რუსეთის ხელისუფლება, ლოგიკის მიხედვით, უნდა მორიდებოდა თავისი გასაგები იმედგაც-

რუების ასე სასწრაფოდ და აშკარად დემონსტრირებას. თუმცა ლევან ბერძენიშვილის მიერვე გადაცემაში მოყვანილი ტიუტჩევის სტროფი - „Умом Россию не понять“ ძალიანაც უპრიანი იმის შესახებდა, რომ ლოგიკა ხშირად შეიძლება არც განსაზღვრავდეს ამ ქვეყნის მმართველი ძალის საქციელს.

4. რუსეთის ხელისუფლების კიდევ ერთი მიზანი ამ საქციელით შეიძლება იყოს, ქართულის გარდა, დასავლური ხელისუფლებების დამცირება. უნდა ითქვას, რომ როგორც 2008 წლის ომის შედეგებით, ასევე 2008 წლის შემდეგ მიხილ სააკაშვილისადმი უაზრო მხარდაჭერით დასავლეთის პოზიციები და პოპულარობა ქართულ საზოგადოებაში სერიოზულად შერყეულია და, მართალია, რუსეთის ხელისუფლება ამ აგრესიით თავის თავს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ბოროტ ხულიგნად, რომელსაც წესიერება, აპრობირებული ნორმები და სამართალი ფეხებზე ჰკიდა, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ სერიოზულად ურტყამს ამ ყველაფრის დამცველების რეპუტაციას. თუ რუსეთმა მოახერხა და თავისი გაიტანა, ეს საგრძობი სილა იქნება როგორც ქართული, ასევე - შეიძლება, მეტადაც კი - დასავლური მხარეებისათვის. დამკვირვებელთა პოზიცია - „ჩვენ ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებით“ თითქმის გროტესკამ-

ჩა(მაკითხულ)-ხლართული პოლიტიკა



დე მიდის და რუსეთი შეგნებულად კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის პოზიციას: - „ჩვენ ძალა გვაქვს და გაგვიდის აბა, თქვენმა წესიერმა სტრატეგიულმა პარტნიორებმა მოახერხონ და დაგიცვან“

5. მაგრამ მოდით, სხვა პოტენციური მიზეზიც განვიხილოთ. დავუშვათ, ეს არც არის რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქცია? უფრო სწორად - გარდა რუსეთის ცენტრალური ხელისუფლებისა, კიდევ ვის ინტერესებში შედის მოვლენების ასეთი განვითარება? და ვის შეეძლო ამ განვითარებისათვის ხელის შეწყობა? ბოლო დღეებში ქართული სოფლების მოსახლეობა სულ უფრო მეტად ისრება იმ აზრისაკენ, რომ რუს ჯარისკაცებს ამ მავთულხლართების გადმონევისა და გაჭიმვისათვის სპეციალურად ფულს უხდიან. არ ვიცი, რამდენად დასაბუთებულია ეს ეჭვი, მაგრამ გამორიცხული არ არის. მოდით, ახლა გავისხეხოთ, თუ როდის მოხდა ბოლო ხანებში, როცა რუს ჯარისკაცებს ამ მეთაურებს, გარკვეული მიზნების გამო, მავანმა საქართველოს ტერიტორიაზე ფული გადაუხადა ანდა დაჰპირდა:

5.1. განმუხურის სპექტაკლი. 2007 წლის ოქტომბერში საქართველოს პრემიერმა თაბუკიძემ თაბისი რეჟისორული უნარ-ჩვევები ნათლად აჩვენა. განმუხურში რუსების განდევნის და პრეზიდენტის მიერ კალაშნიკოვებზე მკერდით მინოლის შთამბეჭდავი საგა სწორედაც რომ პირველი მოდელირებული ქრონიკა იყო, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია, რუსი სამხედროებისათვის თანხის გადახდის გარეშე მომხდარიყო http://www.myvideo.ge/?video_id=411618 განმუხურის სპექტაკლი

5.2. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა გული გადაუშალა რუსულ გაზეთ „კომერსანტს“ და ისეთი რამ თქვა, რის გამოც თავის მართლებას მერე არაერთხელ მოუხდა. „იცი, გივი თარგამაძემ 2008 წლის აგვისტოში რუს სამხედროებს 50,000 დოლარი შესთავაზა იმისათვის, რომ გორში სტალინის ძეგლი დაეწვიათ. მაშინ ხომ კონტაქტები არაოფიციალური იყო და ფულის მეშვეობით რუსებისგან ყველაფრის ყიდვა შეიძლებოდა და გადაწვედა, სტალინის ჩამოშორება ფულზე გადაცვლილიყო. მათ გორი დაბომბეს, მაგრამ სტალინის ძეგლს ხელი არ ახლეს.“ სააკაშვილის სისტემის მაშინდელი „ხერხემლის“ ეს „აღიარებითი ჩვენება“ კარგად ამტკიცებს, რომ საქართველოს ვარდოვანი ხელისუფლება არ ერიდებოდა ომში მონაწილეობაზე მხარესთან ძალიან საეჭვო სახის ფინანსური გარიგებების დაგეგმვას! <http://www.radiota.visupleba.ge/content/blog/2047026.html>

5.3. აგვისტოს ომის დროს საქართველოს ხელისუფლებამ (საერთაშორისო, კახა ლომიაში), რუს გენერალ ბორისოვს გადაუხადა 50,000 დოლარი, იმის სანაცვლოდ, რომ მას ქართული სამხედრო ბაზის რამდენიმე ახალი კორპუსი არ აეფეთქებინა. ბორისოვმა პირობა შეასრულა. ხოლო საქართველოს ხელისუფლებამ მას მადლობა გამოუცხადა გორში წესრიგის დამყარებისათვის (უნდა ითქვას, რომ ბორისოვმა მართლაც აღკვეთა გორში მაროდორობის ფაქტები, მაგრამ არა მგონია, მსგავს სიტუაციაში ანექსირებული ქვეყნის ხელისუფლება მადლობას უნდა იხდინოს).

5.4. არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ 2008 წლის ივნისიდან საქართველოს ხელისუფლების სხვადასხვა წევრების მხრიდან მოულოდნელად დამტკბარი ენა რუსეთის ხელისუფლების და, კერძოდ, რუსი სამხედროების სარდლის მარატ კულახმეტოვის მიმართ (ხშირად ლაპარაკობდნენ იმაზე, როგორ „არ უჯერებს“ კოკოითი კულახმეტოვს, რომ რუსეთის სამხედრო დოზები „ვერ ახერხებენ“ ოსი სამხედროების კონტროლს... კულახმეტოვს აქებდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი), იმას უკავშირდებოდა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სწორედ ამ გენერალს სერიოზული თანხა გადაუხადა იმის სანაცვლოდ, რომ საომარი კონფლიქტის შემთხვევაში, რუს სამხედროებს ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინათ და საერთოდ, ყაზარმიდან ვარეთ არც კი გამოსულიყვნენ. შემდგომში, იგივე მოსაზრება გაიმეორა აგვისტოს ომის გამოძიებელი კომისიის მიმართ ეროსი კინმაიშვილმა. ამ ეჭვის საფუძველს აძლიერებს ის, რომ ომის მეორე დღიდანვე, ქართულმა მხარემ რუსი სამხედროების მიმართ რიტორიკა სასწრაფოდ შეცვალა, ხოლო კულახმეტოვი კი მალე მის წინააღმდეგ მონაწილე ტერაქტს, როცა ჟიგულში 20 კვ ტროტინი იყო ჩამონტაჟებული, რომელმაც 7 სამხედრო და რუსების შტაბის უფროსი პეტრიკი იმსხვერპლა, სასწაულებრივ გადაურჩა http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_art=1577.

რატომ უნდა უნდოდეთ საქართველოს ყოფილი ხელისუფლების დღემდე ხელისუფლებაში დარჩენილ წარჩენებს (საკაშვილს, ბოკერია, უგულავა, ნაცმოძრაობის ფრთა პარლამენტში, შიდა ქართლის გუბერნატორი) მავთულხლართის გადმონევა? რატომ და როგორ შეიძლება ემთხვეოდეს მათი ინტერესები რუსეთის ხელისუფლების ინტერესებს?

- ა) რათა ჩავიდნენ კონფლიქტის არეში, ფარშევანგებოვით კუდები გაშალონ და ადგილობრივ მოსახლეობას დააყვედრონ - აი, ჩვენ დროს რა მშვიდად იყავით და ახლა რა საშინელებები ხდება - ივანიშვილი ვერ გიცავთო (თუმცა, ამაზე ღირსეული პასუხი მიიღეს ადგილობრივებისაგან),
- ბ) რათა მოაწყონ ახალი პროპაგანდისტული კამპანია („კმარა“-ს ადგილი დაიკავა „დრო“-მ) და თავისი იდეოლოგიური პლატფორმა ააღორძინონ.
- გ) რომ შესთავაზონ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას „მდგომარეობიდან გამოსავლის ერთად ძიება“, რაც, შეიძლება იგივე იყოს, ბანკის მძარცველებმა რომ პოლიციას მძარცვლების დაკავებაში თანამშრომლობა შესთავაზონ.
- დ) რათა გააძხვონ გენდლინის დაკავებით დაბნეული თავისი თანამოაზრენი, და იმის ილუზია შექმნან, რომ მათ გარეშე ივანიშვილის მთავრობა ვერაფერს ახერხებს და ისევ ისინი არიან ქვეყნის „გადამრჩენლები“;
- ე) რათა შეეცადონ, მიეღონ გარანტიები თავიანთი უსაფრთხოების შესახებ და ისევ არხეინად გააგრძელონ თავიანთი ძირგამომხრელი საქმიანობა.

ვ) რათა დაანახონ უცხოელ თანამოაზრეებს, რომ მათი დახმარების წყალობით კოპაბიტაცია წარმატებით გრძელდება, ხოლო საქართველოს მოსახლეობას, ვისაც ეს ბედკრული სიტუაცია ჭირივით შესჭულდა, რაც შეიძლება მეტად გაუცრუონ სამართლის მიერ პურის ჭამის იმედი.

დესპტინა: ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ვ.ს.ზღვარზე მავთულხლართების 100-300 მეტრი გადმონევის ცდებლობა სერიოზული პროვოკაციაა, რომელიც ხელს აძლევს ერთი მხრივ - რუსეთის ხელისუფლებას და, მეორე მხრივ, ნაციონალურ მოძრაობას.

საქართველოს ხელისუფლებამ (მისმა იმ ნაწილმა, რომელსაც ეს არ აწყობს და არა იმან - რომელიც ამ ყველაფრის ორგანიზებაში შეიძლება ეჭვმიტანილი იყოს) ეს ყველაფერი უნდა გამოიძიოს, ამავდროულად, ემოციებს არ უნდა აჰყვეს. კერძოდ, იმუშაოს ყველა იმ მიმართულებით, სადაც რეალური შედეგის მიღწევა შეიძლება. უცხოელებთან, იმის მოთხოვნით, რომ მათ რუსებზე ზენოლის უფრო ქმედითი მონაცემები გამოიყენონ; რუსეთის ხელისუფლებასთან - ყველა მიღებული დამლომბიური საშუალებებით (პროტესტი, ნოტა, ენევის ფორმატი); მედიასაშუალებებთან (სწორედ „ვაშინგტონ პოსტიდანაა“ დასაწყისი - 10,000 კმ-დან რომ „გაეკვირდება“ და გემოდღვრას; ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომ მათ ბედის ანაბრად მიტოვებულად არ იგრძნონ თავი.

და რაც მთავარია, უნდა გაგრძელდეს ყოფილი ხელისუფლების წევრების მიმართ დაწვეული გამომძიება. თუ ჩემი ვარაუდი სწორია და ბოლო დროს ნაწილობრივ სოკოვით მომრავლებულ ბრობლებში (17 მაისი, მავთულხლართების გადმონევის, „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიის და ა.შ.) მართლაც მათი - „საშიშროების საბჭოს“ ხელი ურევია, შანტაჟისტებმა არ უნდა იფიქრონ, რომ მათი შანტაჟი წარმატებული გამოდგა.

და ალბათ, უპრიანი იქნება, „საშიშროების საბჭოს“ ეთხოვოს, წარმოადგინოს ბოლო 7 თვის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოების ანგარიში და სარჯთაღირცხვა.

სოლომონ თარნალი.

P. S. ბატონ ბოკერიას და მის მეუღლეს ნუ ეგონებათ, რომ მართლა Mr. & Mrs. Smith-ები არიან. ეგრე, სააკაშვილიც „tough guy“-დ („მიშა მაგარიად“) გგაგენება თავს, მაგრამ ხომ გამოინდა, რომ მისი სიმაგრე მკვეთრად ბოტოქსირებული და ფუფე ყოფილა

მრუდი სარკეში

წინა ხელისუფლება ცხრა წლის მანძილზე საქართველოს „არნასული“ წარმატებების პრობლემა იყო დაკავებული...

„ნაციონალური მოძრაობის“ ბუკოლიკიდან რეალობას დაეუბრუნდეთ და დავსვათ კითხვა: ვის არიან ის ბედნიერები...

ექსპერტთა კვლევის თანახმად, თბილისში საშუალო ფენის ოჯახს უნდა ჰქონდეს 90-100 კვ.მ ფართის ბინა; 650-1200 ლარის სტაბილური, ყოველთვიური შემოსავალი...

სტანდარტები ოდნავ იცვლება პროცინციულ ქალაქებსა და სოფლებში, მაგრამ გეოგრაფიული მდებარეობისგან დამოუკიდებლად, საშუალო კლასს განსაზღვრავს სოციალური სტატუსი...

სამს უხაროდ, საშუალო ფენის ასეთ სტანდარტს საქართველოში ცოტა ოჯახი თუ აკმაყოფილებს. ასე რომ, სოციალური იერარქიის სურათი სავალალო გამოდის:

- საშუალო კლასი - 8-9%
ღარიბები - 86%
მდიდრები - 5%
ღარიბების ჯგუფში ლატაკების წილი - 15%-ია; უბრალოდ ღარიბების - 21%; სოციალურად ღარიბების - 50%

კანონმდებლის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში სოციალური დივერსიფიკაციის პროპორციები ჩვენგან მკვეთრად განსხვავდება: ღარიბები - არაუმეტეს 15-20 %, საშუალო ფენა - 60-65%, მდიდრები - 20%.

ეს მონაცემები 2007 წელს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა სოსო არჩვაძემ გამოაქვეყნა, რომელსაც 1992-2005 წლებში სტატისტიკის სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

საშუალო კლასი ნებისმიერ საზოგადოებაში მოხმარებისა და კეთილდღეობის სტანდარტია. სწორედ ის განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს.

არჩვაძის სტატისტიკაში საშუალო კლასის დახასიათება კეთილდღეობისა და მოხმარების ეკონომიკური ნორმებით არის გაკეთებული. მონმარების ადგილობრივი სტანდარტების გათვალისწინებით, სოციალური სურათი ოდნავ „შერბილდება“: ღარიბები - 40-45%, საშუალო კლასი - 30-35%.

სახელწოდება „საშუალო კლასი“ საქართველოში მხოლოდ პირობითად შეიძლება გამოიყენოთ: ზოგ ოჯახს ქონება აქვს, მაგრამ შემოსავალი არ გააჩნია; ანდა, პირიქით - შემოსავალი აქვს, მაგრამ უქონელია (მაგალითად, ლტოლვილები)...

სიღარიბის პრობლემა ნაციონალურმა მთავრობამ ერთი ხელის მოსმით გადაჭრა - თუ მსოფლიო ბანკის მონაცემებს გადავხედავთ, აღმოვაჩინოთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაცილებით მეტი ლატაკია, ვიდრე საქართველოში...

სრული სკლით - ლუბკენიზაციისკენ!



apriori საშუალო ფენას მიეკუთვნებიან, ხშირ შემთხვევაში საარსებო მინიმუმს სჯერდებიან. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშუალო კლასი ჩვენში ჯერ არ ჩამოყალიბებულია, მისი წილი იმდენად მცირეა, რომ ის ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს სოციალურ და ეკონომიკურ პროცესებზე...

საშუალო ფენისგან განსხვავებით, სიღარიბის კვლევას ბოლო 9 წლის განმავლობაში დიდი ყურადღება დაეთმო. არც არის გასაკვირი: სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებელია - ის გაეროს, მსოფლიო ბანკისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების რაპორტებში აისახება, ისევე, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტი, უმუშევრობის მაჩვენებელი, ვალუტის კურსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და სხვა.

არც ერთ მთავრობას არ სურს ისეთი ქვეყნის მეთაურობა, სადაც უმეტესობა ღარიბია. წინა ხელისუფლება ეკონომიკის წინსვლას და ქვეყნის „უპრეცედენტო“ განვითარებას „უსვამდა ხაზს. სტატისტიკის მიმართ კი, საჭიროების შემთხვევაში, საკმაოდ უტილიტარულ და მოკიდებულებას ავლენდა. მაგალითად,

საარსებო მინიმუმი ერთ სულზე თვეში 150-დან 95 ლარამდე ჩამოაგდეს და უკიდურესი სიღატაკის საერთაშორისო სტანდარტს - დღიურად 1.25 4-ს მიუახლოვეს. ეს სტანდარტი შიმშილის ზღვარზე მეტ ქვეყნებში მოქმედებს, რაც, წესით, არანაირად არ ესადაგებოდა მზარდი ეკონომიკის ქვეყანას. შედეგად, სიღატაკის მაჩვენებელი 9%-მდე დაიწია და აშშ-ს 15.1%-ს საგრძობლად ჩამორჩა. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის პროცენტული წილი, რომელიც 2003 წელს 28.5% იყო, 2009 წლისთვის 24.7% - მდე ჩამოვიდა. ასე რომ, ყველა ციფრი შესაბამისობაში მოვიდა წინსვლისა და აღმავლობის გზაზე დამდგარი სახელმწიფოსთვის აუცილებელ მონაცემებთან. საქართველოს ეკონომიკა იმ პერიოდში, საშუალოდ, 10%-ით იზრდებოდა. სერთო ჯამში, 2004-07 წლებში, მრეწველობისა და მომსახურების სექტორის განვითარების ხარჯზე, ეკონომიკა 35%-ით გაიზარდა.

ცოტა ხნის წინათ, გაეროს განვითარების პროგრამის კითხვარით, საქსტატმა მოსახლეობის გამოკვლევა ჩაატარა, რომელმაც აჩვენა რომ ოჯახების 36%-ში საშუალო მოხმარება საარსებო მინიმუმზე დაბალია; 61%-ს თვის ბოლოს დაწინაურების გაკეთების შესაძლებლობა არ აქვს; ყოველ მე-11 ოჯახს კი საცხოვრებელი სახლი არ გააჩნია.

წლეულს აპრილში, სასტუმრო „მარიოტში“ „ქეა ინტერნეიშენალთან“ ერთად ჩატარებულ კონფერენციაზე გაეროს უახლესი რაპორტებიც წარმოადგინეს, რომლის თანახმად, საქართველოში მილიონი ადამიანი ღარიბია; 400 ათასი კი - სიღარიბის ზღვარს მიღმა.

ყოველი მესამე ღარიბი! სავალალო სურათია, რომელიც თვალშისაცემ კონტრასტს ქმნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლებთან. საინტერესოა, რატომ არ აისახა პოსტრევოლუციური „ეკონომიკური სასწაული“ მოსახლეობის კეთილდღეობაზე?

დღეს საქართველო იმ იშვიათ ქვეყნებს შორისაა, რომელსაც ქვეყნის შიგნით გაცილებით ნაკლები დაქირავებული დასაქმებული ყავს, (662 ათასი) ვიდრე მის ფარგლებს გარეთ (მილიონზე მეტი).

ოფიციალური მონაცემის თანახმად, უმუშევრობის დონე ჩვენს 15%-ია. შედარებისთვის, ესპანეთში, ეკონომიკური კრიზისის შედეგად, უმუშევრობის მაჩვენებელი 27%-ს მიაღწია. მიუხედავად ამისა, საქართველოდან უამრავი შრომითი მიგრანტი სწორედ ესპანეთში გადის და უკან მობრუნებაზე არც ფიქრობს. აშკარაა, კრიზისით დაზარალებულ ევროპის იბერიაში უფრო ადვილია ცხოვრება, ვიდრე „აყვავებულ“ კავკასიის იბერიაში.

ჩვენში თვითდასაქმებულთა წილი 60%-ია და დაქირავებულ დასაქმებულებს აჭარბებს - მათი რაოდენობა 40%-ია. ესპანეთში თვითდასაქმებით მხოლოდ 17 % ირჩენს თავს. დანარჩენი 83% დაქირავებული დასაქმებულია.

საქართველოში სამუშაო ადგილები ძალიან ცოტაა - როგორც ვერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში და მათ, როგორც წესი, ნებოტიზმის შედეგად იკავებენ. თვითდასაქმებულები თავს ტაქსისტობით, მინიმარკეტის დახლთან დგომით, ხელოსნობით, ანდა საკარმიდამო მიწაზე პროდუქტის მოყვანით ირჩენენ - ისინი სამუშაო ადგილებს მხოლოდ საკუთარი თავისთვის ქმნიან.

საქართველო ჩამორჩენილი ქვეყანაა - ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნახევარზე მეტი (52.2%) აგრარულ სექტორშია დასაქმებული. 41% - მომსახურების სექტორში და მხოლოდ 6.5% - მრეწველობაში. ჩვენს სოფელში შრომის მწარმოებლობა დანარჩენ დარგებთან შედარებით 11-12-ჯერ დაბალია - ჩვენი გლეხი 11-ჯერ ნაკლებ დამატებით ღირებულებას ქმნის, ვიდრე საბანკო კლერკი. სოფლის მეურნეობა განუვითარებელია - თუ ერთ წელიწადს პროდუქტიულობა იზრდება, მეორე წელს - გვალვის, სეტყვის, გლეხის არაკვალიფიციურობისა თუ სხვა რამ მიზეზებით, ისევ მცირდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაწყებული ლუბკენიზაციის პროცესი წინა ხელისუფლებამ ვერ შეაჩერა, რაც მათ მიერ დაპირებული სინგაპურიზაციის წარუმატებლობაზე მეტყველებს. ვინ არის ლუბკენი? დეკლარირებული ადამიანი პარაზიტული და პატერნალისტური ცნობიერებით, რომელიც მუდმივად მესიის მოლოდინშია.

ახალ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობა ერგო. თუ იგი სიღარიბის პრობლემის გადაჭრას ვერ მოახერხებს, სოციალურ კატაკლიზმებს ვერ აიცილებს თავიდან. ამის პირველი ნიშნად 17 მაისი შეგვიძლია ჩავთვალოთ.

მაია ჩიკვაძე

საერთაშორისო გამოფენა

სამოსზე მებტი კომპანიის ნაწარმს უსხოვლი აქსეირტები დააგეგმონ

გშშ-ში თბილისში სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფია ამ ოფიციალურად გასახსნა.

დონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საგამოფენო ცენტრის „ექსპო ჯორჯიას“ ორგანიზებითა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასოციაცია ქართული ღვინისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით იმართება.

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა ყოველწლიურად იმართება. სასაიმონო, რომ წელს განსაკუთრებით ბევრი უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა ქართული ღვინის გასაცნობად. სხვადასხვა ქვეყნის ღვინის ექსპერტები, სპეციალისტები და ჟურნალისტები შეძლებენ, ადგილზე გაეცნონ ხარისხიანი ქართული ღვინის მრავალფეროვნებას და კულტურას. ეს კი, ჩვენი პროდუქციის პოპულარიზაციას და საქსპორტო ბაზრების მოპოვებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, - განაცხადა შალვა ფიფიამ. გამოფენის გახსნას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილიც დაესწრო.

დონისძიებაში 60-ზე მეტი კომპანია მონაწილეობს. გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც საუკეთესო ქართული ღვინო, ასევე ქართული ტრადიციებით დამზადებული ყველი სხვადასხვა რეგიონებიდან, ადგილობრივი რეწვის უნიკალური ნიმუშები, ღვინის აქსესუარები და ღვინის ტურიზმი.

გამოფენაზე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი მსხვილი ქართული კომპანიების გვერდით, წარმოდგენილია მცირე და ოჯახური მარნების პროდუქცია.

დამოუკიდებელს საშუალება ექნება, გაეცნოს და დააგეგმოს ქართული ბოთლისა და ქვეყნის ღვინოების ნაირსახეობები. სპეციალურად გამოფენაზე დასწრების მიზნით, საქართველოს ესტუმრება სომელიეთა და ჟურნალისტთა ჯგუფი რუსეთიდან. ფესტივალის დღეებში გაიმართება ქვეყნის ღვინის მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც დაესწრება 40-მდე უცხოელი სტუმარი.

წინო ალექსანდრიძე, ელბაჯა ნაღარაძის ფოტო



მოხანდაკე



მოხანდაკე გიორგი შალვაშვილი


რაც სულში ლექსად წკრიალებს...

მხატვრის სახელოსნოში, უნიკალურ ფერწერულ ტილოებს შორის თითქოს მო-


ვას, ზვიად გამსახურდიას და სხვათა მი-

ვას, ზვიად გამსახურდიას და სხვათა მი-

ეს სახელოსნო საქართველოს დამ-



შალვაშვილი



შალვაშვილი

სულის თანამდევია მუსიკა და პოეზია:

გმადლობ, უფალო, რომ მიწილადე დაცლა ამ ნექტრით სავსე ფიალის,

– მე და პოეტი ნანა ცინცაძე ამას წინათ გურიაში, ვგნატე ნინოშვილის სახლ-მუ-

მერამ მერვეველმა თბილისის სამხატ-

– ჩვენს ოჯახში მუდამ ტრიალებდა ქართული ენოვანი სული.

...უჭირს დღეს ქართველ ხელოვანს.

ათასში ერთი ნახატი თუ იყიდება...

ფესიონალიზმთან ერთად, დიდი სიყვარულით უნდა იყო სავსე, რომ ფუნჯი და საჭრეთელი ხელიდან არ გა-

ლოგიაში“ მისი ორი ლექსიც არის შე-

„სულში ლექსად წკრიალებს სევდა გადანადნობი, და სიცოცხლის ფიალას ვცლი ცრემლამდე მადლობით“

– გვიხმელს ის თავის ერთ-ერთ ლექსში.

გულიდან ამოკახილი

გინდ თეოკრატია უკახეთ, გინდ - თეოკრატია!

„მუ დედებინასა მიერთმევე, სადმე მოფარებულში თქვლიფე შენთვის!

ბატონ ოთია იოსელიანის ხშირად უყვარდა ამ ფრაზის არა უბრალოდ წარმოთქმა,

თუ ჩავეულმავდებით, ეს ბრძნული სენტეციაა, რომლის დავიწყება არადა არ ეგვების!

ყველას გვახსოვს 17 მაისს განვითარებული, პირწმინდად პროვოცირებული მოვლენები და მისი უარყოფითი რეზონანსი ლამის მთელი მსოფლიოს მასშტაბით!

დღემდე ვერ ჩამცხნალან და ჩამოშმინებულან ავის მოლოდინში მყოფი ნაცების ლიდერები და მათი ადვოკატები: ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ და „ქართული ოცნების“ მიერ წაქეზებულმა ბრბომ მთელს პლანეტაზე მოგვჭრა თავიო! ეს იყო ლახვარი დემოკრატიის გულშიო! სამომდღემოდ დავემშვიდობოთ ნატოს კარებსო! და ა. შ. და ა. შ.

არადა, ვინ მამაძალი შეუვარდა ნებისმიერ მამათმავალსა თუ ლესბოსელს ბუდუარში – ამას რას სჩადიხართო! ვინ შე-

უბრალოდ, ჩვენთვის, ანუ ნებისმიერი ჯანსაღი ზნეობისა და სულიერების მქონე საქართველოს მოქალაქისათვის, მიუღებელია ძირძველი ტრადიციების ჩაწიხვლა:

დაიხ, ჩვენთვის ეს მიურომეველის მირომევე (დალოცვილი კახელი კაცი ჩემს ადგილას იტყოდა – შორიდანა მეც ენგრე მეგონა, მაგრამა, ახლოი რომ მივედი, ძღ... ჭამდაო!). და ერთიც:

მართლმადიდებლობამ გადაგვარჩინა ჩვენ! მართლმადიდებელი და ქართველი ერთი და იგივე ცნებებია! – ყველა მართლმადიდებელი, რასაკვირველია, არაა ქართველი, მაგრამ ყველა ქართველი რომ მართლმადიდებელი უნდა იყოს, – უდავოა!

ახლა ამას გინდ თეოკრატია უძახე და გინდ – თეაკრატია! გიჟო ზარნაძე

ლექსო, ამოგოქომ!..

მან ზამბირაჲ იცის არა მართო „ქეფხის-ტყაოსანი“, არამედ ქართული პოეზიის სხვა საუკეთესო ნიმუშები. მისი ლექსები სიმღერებად აქციეს კომპოზიტორებმა შოთა მილორაგამ, რუსუდან სებისკვერაძემ, შალვა დავითაშვილმა, ბიძინა ჯგერნაძემ, რამაზ კე-

მისი საბავშვო კრებული ენის გასატეხი ქართულ ანბანზე „უკვდავია ჩვენი სიტყვა“ ქართველი ლოგოელების სახელმძღვანელოა. მანვე შექმნა და დასტამბა ენის გასატეხები ქართულ ანბანზე.

ქვემოთ ვთავაზობთ შოთა ხოდაშვილის ორ ლექსს:



შოთა ხოდაშვილი

ზემო ხოდაშენს

ხოდაშენი სპარსულად ნიშნავს ღმთის ნილს, ღმთის კუთხვილს

ქრისტიანთა მზევ და გულო, ლოცვა გმირთა ეს წესია, შენს მიწაზე ამოზრდილა ოცზე მეტი ეკლესია. ეს სოფელი საყვარელი, ალბათ ღმერთის ნათლულია, გმირებით და ფალანგებით, ვაჟკაცებით განთქმულია. არასოდეს დაჰკლებია სიყვარულის მონა, მრძენი. რად დინს მართო ომს წასული შვილნი ძმანი ლოლაძენი! თუმცა, ზოგმა უფროსებმა ვერ გაიგეს გასაგონი და ხოდაშენურ წმინდა ღვინოს, მათ შეარქვეს „ზადაგონი“. პოეტები, მომღერლები, სიყვარულის ოლა გმვენის. შენ ხარ მარად სანატრელი საამაყო ხოდაშენი. შენი დიდი სიყვარული, მინდა მარად სანთლად ენთოს! თუმც ორია ხოდაშენი შენ მიყვარხარ, ერთადერთო.

იბერი

სამ დღეს ვიყავ სიზმარეთში ათს გავცვლიდი თითო დღეში, მომეგება ტუბილი, თბილი, ხიზლით სავსე იმერეთი... სიტყვა – ტუბილი, გული – თბილი, სული – დიდი და მალაღი. ისთვალა, ცისფერთვალა, მზისთვალა და თვალმაცვალა... ამომიჭდა ლამის გული. ვინ მიგვივა წასვლად გზამდე! მესხმებოლა ფრთები თითქოს, უცებ ასჯერ გავიზარდე!.. თავბატიყო რას გავივა, მე ვი, აბა, რას ვიზამდი? და სუფრასაც წამში შლიდენ სანამ ხელვებს დაგვიზანი: – ერთი წუთით, მხოლოდ ერთით, – აბა, ვთხოვთ უმცროს – უფროსს! მაგიდასთან მოზრძანდი და კი, ბატონო, ვისაუბროთ... ახლაც მესმის, ახლომლისთვის მოფერება – თქმული მათი: „დედა, რავა გაზრდილათი“... „რავა დამშვენებულათი“. და დავდივარ მოხიზლული, კაცს სჭირდება განა მტეტი? გულნათელი, შუქმომფენი, დიდებული იმერეთი... ... სამ დღეს ვიყავ სიზმარეთში...

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთი პროვოცირებას ახდენს, საქართველო არ პასუხობს

რუსი ჯარისკაცები, რომლებიც მოსკოვში სამხრეთ ოსეთში გაგზავნა, რამდენიმე დღის განმავლობაში ბარეიერების კეთებისთვის შრომობდნენ, რომ უკეთ განესაზღვრათ საზღვარი საქართველოსა და პატარა რეგიონს შორის, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა თბილისისგან 2008 წლის ელვისებური ომის შემდეგ გამოაცხადა. ეს მუშაობა გაჩაღდა მაისის ბოლოს სოფლების დიციხისა და დვანის რაიონში. ამ დროს საზღვარი გადაიტანეს რამდენიმე ასეული მეტრით საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში.

აფხაზეთი, რომელთა დამოუკიდებლობაც ალიარეს მხოლოდ რუსეთმა და კიდევ რამდენიმე ქვეყანამ, დაუბრუნდებიან საქართველოს სუვერენიტეტს.

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს ძირითადად აკონტროლებს და ამარაგებს რუსეთი. ამ რეგიონების ტერიტორიაზე დისლოცირებულია ათასობით რუსი ჯარისკაცი.

რამდენიმე დღით ადრე საზღვრის განმტკიცების სამუშაოთა დაწყებამდე სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ლეონიდი თიბილოვი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შეხვე-

ბის შემდეგ მოსკოვში გამოაცხადა თავისი გამარჯვების შესახებ დასავლელი და ამერიკელი ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინაიდან ახალი პრემიერ-მინისტრი ითვლებოდა კრემლთან დაახლოებულ ადამიანად, მაგრამ ივანიშვილმა პრაგმატული მიდგომა ირჩია.

პრემიერ-მინისტრმა და მისმა მთავრობამ შესანიშნავად იცოდნენ, რომ საქართველო შედარებით უძლურია ძლიერ რუს მეზობელთან. მათ ესმით, რომ მოსკოვი ძნელად რომ შეცვლის თავის მიდგომას საქართველოსადმი, ორი რეგიონისადმი, რომლებმაც გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა და უკმაყოფილოები არიან თბილისის სურვილთან დაკავშირებით დაუკავშიროს თავისი ბედი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროპას. მათ სხვა გზით სიარული სურთ, რომელიც განსხვავდება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ არჩეული გზისგან და რაც მიზნად ისახავდა კონფორტაციას მოსკოვთან.

ივანიშვილს განზრახული აქვს, განავითაროს მშვიდი ურთიერთობა მოსკოვთან ორივე ქვეყნის საერთო ინტერესებისთვის, არანაირი დიპლომატიური რიტორიკა, მხოლოდ მჭიდრო ეკონომიკური კავშირები. ამრიგად, ქვეყნის კეთილდღეობა გაიზრდება, დემოკრატია განმტკიცდება და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებს ექნებათ მიზიდველი ალტერნატივა რუსეთისა და მისი პოლიტიკის საპირისპიროდ. ივანიშვილი დარწმუნებულია, რომ ოსები და აფხაზები რამდენიმე წლის განმავლობაში შეცვლიან თავის თვალსაზრისს და დაბრუნდებიან საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ. ის ასევე დარწმუნებულია, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და არც ისე შორეულ მომავალში.

პირველი ნაბიჯი გადაადგმება გაიხად, როდესაც თბილისი მიიღებს დიდი ხნის ნალოდინარ მამს. ამ ნაბიჯს განიხილავენ 26 და 27 ივნისს საქართველოს დედაქალაქში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს დელეგაციის წევრების პირველი ვიზიტის დროს.

მოსკოვისთვის ეს კოშმარის განახლებას ნიშნავს. იქნებ, მავთულხლართების საზღვარზე დაყენების ეპიზოდი მოსკოვის უკმაყოფილების გამოხატულებაა.



იტალია

დედაიშის ზურგზე



თურქმა მემარცხენა ანტიიუსტ-მისტიკამ სიმბოლურად პინგვინების ბირჩიის - მათ აჩვენებენ ტილემი-ზიით პროტესტის ნაცვლად

ოპოზიციონერები ბრალს სდებენ მთავარ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებს იმაში, რომ ისინი არ აშუქებენ პროტესტს, რომელიც უკვე თერთმეტი დღეა გრძელდება. თურქები აწარმოებენ დამოუკიდებელ „რეპორტაჟებს“ სოციალურ ქსელებში. თუმცა, ეს უსაფრთხო როდია: როგორც მინიმუმ, 25 ბლოკერი დააპატიმრეს პროტესტისკენ მოწოდების გამო. პროტესტის მსვლელობის დროს უკვე დაიღუპა ოთხი და დაზიანდა ათასობით ადამიანი.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ლიდაიმი ჩაფრინდა ოპაბასთან თავეის მემსხილაჯ ცოლთან ერთად, რათა მიიღოს განმარტება ჩინეთში პაპარაზის შესახებ



თეთრ სასაღმადროში აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ობამას შეხვედრა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარესთან სი ცინპინთან არაფორმალურია. მოლაპარაკების მთავარი თემა კიბერუსაფრთხოებაა. ამერიკის შეერთებული შტატები ელოდებიან, რომ ჩინეთი აღიარებს პასუხისმგებლობას შტეტეებისთვის, რაც ზიანს აყენებს ამერიკულ ეკონომიკას. მაასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასევე დიდ ინტერესს იჩენენ სი ცინპინის მომხიბლავი მეუღლისადმი.

აშშ კონგრესმა მემბანი დაიხანინა რუსეთის რუმთან დაპაპოშირებით ცხრანამეზანის საქმეში. ამერიკელი პასუხისმგებლის დადებითად დაბრუნდნენ



რუსეთში კვლავ ჩავიდნენ ამერიკელი მკვლევარები, რათა გაიგონ, შექმნილი თუ არა ტამერლან ცარნავეს რადიკალიზება ამ რესპუბლიკაში მისი მოგზაურობის დროს 2012 წელს. ამ დროს ამერიკის დელეგაციის წევრები, რომლებიც გასულ კვირას აწარმოებდნენ მოლაპარაკებას უშიშროების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლებთან, ვერ გაურკვევიათ, თუ ვინ არის დამნაშავე, ტერორისტული აქტი თავიდან რომ ვერ აიცილებს.

სენატორმა მემბანიმა გააპარტიკა ოპაბას ბაშუბაშუბის სინ-რინსთან დაპაპოშირებით და მოუწოდებ, დაბრტხს ფრთოსანი რაქატიკით

„რაც დიდხანს გაგრძელდება ეს კონფლიქტი, მით მეტი გავლენა ექნებათ ექსტრემისტებს“, - დარწმუნებულია იგი. ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ შორი მოქმედების იარაღი, მაგალითად, ფრთოსანი რაქტები, რომელთა მიზნად ასაღი სამხედრო-საპაერო ძალები და სარაკეტო დანადგარები იქნება“.



თითქოს, კონფლიქტის მესუთე წლისთვის წინ, რომელშიც რუსეთმა გაიმარჯვა ცუდად ორგანიზებულ ქართულ არმიას, კვლავ იზრდება დაძაბულობა მოსკოვსა და თბილისს შორის. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ივანიშვილი შეეცადა, შეემსუბუქებინა სიტუაცია, განაცხადა თავისი რწმენის შესახებ, რომ ყოველივე მომდარარის მხოლოდ გაუგებრობის შედეგი და არა პოლიტიკური ანგარიში. ამ უსიამოვნო ეპიზოდს კავკასიელი პრემიერ-მინისტრი განიხილავს 7 ივნისს რუსეთ-საქართველოს დაგეგმილი მოლაპარაკების დროს.

„ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მოთმინება და ყველაფერი გაიკრევა“, - თქვა ივანიშვილმა ინციდენტის შემდეგ. მან მოუწოდა თავის მინისტრებს, გამოიჩინონ მოთმინება, ქვეყნის მოქალაქეებს კი განუცხადა თავისი რწმენის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთი და

ნენ ერთმანეთს, რათა განესილათ ორმხრივი ურთიერთობათა განვითარება. ორივე პრეზიდენტმა აღიარა, რომ ამ ურთიერთობებს აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. მოსკოვი სამხრეთ ოსეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორია. 2012 წელს სავაჭრო ბალანსმა 57,2 მილიონი დოლარი შეადგინა. რუსეთმა თავისი დიდი კომპანიების მეშვეობით მნიშვნელოვანი ინვესტიციები დააბანდა რეგიონში და მზად არის კიდევ ოთხი მილიარდი დოლარის ინვესტირებისთვის.

მოსკოვმა იცის, რომ, როდესაც თავის კონტროლქვეშ ჰყავს საქართველოს ორი რეგიონი, იგი არ მისცემს თბილისს საშუალებას, საბოლოოდ შევიდეს ნატოში. ეს სტრატეგიული აზრი გასაგებია საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის, რომელიც, მიუხედავად ამისა, უარს არ აცხადებს თავისი ქვეყნის პროდასავლურ ორიენტაციაზე. ივანიშვილის არჩევნ-

საქართველომ ჩინებს ნება მისცა, ისწავლონ მუშაობის ენა

საძარტველს მთავრობამ პანკისის სეობაში ლტოლვილებს ჩენეთიდან ნება მისცა, სკოლაში ასწავლონ მათი მშობლიური ენა. ეს სიასლე უნდა დაიწვოს სექტემბერში სასწავლო წლის დაწყებამდე ერთად. განათლების სამინისტროში გვაცნობს, რომ „სწავლება მოხდება ეროვნული სტანდარტების შესაბამისად უცხოური ენების სწავლის მსგავსად“.

საკითხი, უნინარეს ყოვლისა, შეეხება სოფელ დუისში ყველაზე დიდ საშუალო სკოლას.

— სკოლაში თავად უნდა გამოიხატოს საფინანსო და ადამიანური რესურსები, შედგაოგიური კადრები, გაარკვიოს სახელმძღვანელოების საკითხი, — აღნიშნეს სამინისტროში. თავად ჩენები კმაყოფილი არიან ამ ვარიანტიტაც.

— ჩვენ ნება მოგვცეს, ვასწავლოთ ჩენური ენა, ასეთი რამ ვერ არაბოლდეს ყოფილა საქართველოში, — გახარებულია ჩენური დიასპორის ხელმძღვანელი მექა ხანგოშვილი.

მისი სიტყვებით, დუისის სკოლაში მუშაობენ პედაგოგები ადგილობრივი მცხოვრებლებიდან და ლტოლვილები. ვერ ფიქრობდნენ სახელმძღვანელოებისთვის მიემართათ გროზნოში, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით რუსეთსა და საქართველოს შორის, თავიანთ ძალებს გამოიყენებენ ამისთვის. დაეხმარება მათ თბილისის ენათმეცნიერების ინსტიტუტი. მისმა დირექტორმა ლალი ეზუგბაიამ გამოთქვა აზრი, რომ პანკისში ჩენური ენის სწავლება ლოგიკურია.

— საქართველოში დიდი ხანია არსებობს ტრადიცია — ეთნიკურმა უმცირესობამ შე-



იძლება ისწავლოს მშობლიური ენა, — გვითხრა მან ჩვენთან საუბარში. — რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ეს არ არის პრობლემა, ჩვენ დავეხმარებით. ჩვენს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში არიან ჩენური და სხვა კავკასიური ენების სპეციალისტები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები. ესე იგი, რესურსები საკმარისია.

ექსპერტების სიტყვებით, მთავრობის ეს გადაწყვეტილება სხვა რამესთან ერთად მიზნად ისახავს პანკისში შესაძლო უნერეგობათა თავიდან აცილებას.

— პანკისში ჩენური ენის სწავლების ნებართვა შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც ჰუმანიტარულ კონტექსტში. საქართველოს მთავრობა დაინტერესებულია, რომ ამ რეგიონში იყოს სიმშვიდე და სტაბილურობა, — გვითხრა სამეცნიერო-საანარმოლო გაერთიანება „კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელმა გიორგი ხუცი შვილმა.

იმის შესახებ, თუ რამდენი მოსწავლე ისწავლის ახალი წესებით, უნდა აჩვენოს ჩენების რეგისტრაცია. ლტოლვილთა და განსახლე-

ბის საქმეთა სამინისტროში გვაცნობს, რომ რეგისტრაციას მოაწვობენ ივანისის ბოლოს. ლტოლვილები ჩენეთიდან საქართველოში ძირითადად ცხოვრობენ კომპაქტურად პანკისის სეობაში ახმეტის რაიონში ქვეყნის აღმოსავლეთით. თითოეული სახელმწიფოსგან თვეში 28 ლარს ღებულობს — ეს 17 დოლარია. ამას გარდა, უშუალოდ პანკისში მუშაობენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაგანაც, მაგალითად, შეიძლება მიიღო კრედიტი მცირე ბიზნესის დასაწყებად.

1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანი წლების დასაწყისში სეობის 16 სოფელში იყო დაახლოებით 8 ათასი ლტოლვილი ჩენეთიდან. საქართველო აღიარებდა, რომ მათთან ერთად ამ რეგიონში იმალებოდა 900-მდე ბოვეიკი ჩენეთიდან და საერთაშორისო ტერორისტი. შემდეგ საქართველოს, რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების ერთობლივი ოპერაციის წყალობით, პანკისის თემა დასრულდა. თბილისი ამან წარმოუდგენლად გაახარა, ვინაიდან სეობის პრობლემა არა მხოლოდ საგრძნობლად გააუარესა მოსკოვთან ურთიერთობა, არამედ გამოიწვია საყვედურებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან ტერორისტების მფარველობის გამო. მუდმივად ბრუნდებიან თავიანთ სახლებში ან მიემგზავრებიან მესამე ქვეყანაში რიგითი ლტოლვილები. ვინც დარჩენილია, ცხოვრობს ძირითადად ადგილობრივი ეთნიკური ჩენების მხარდაჭერით, ქისტებისა, რომლებიც პანკისის სეობაში ჩასახლდნენ ვერ კიდევ მე-19 საუკუნეში.



ჭადრაკი

ფანცულაია მუშაობაში პირველია



საბჭო ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა ინდოეთის ქალაქ მუმბაის მონაწილეობაში...

გიორგი ფანცულაია დაზავდნენ. ასევე, მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი) და მიხეილ მჭედლიშვილი...

ლაშა დიდიანი

ოლიმპიადი

შპს რომი: ქიდაობაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა



აქციის შემდეგ. ამ სახეობაში ძალიან ბევრი რამ იყო შესაცვლელი და ცვლილებები უმალ განხორციელდა...

შეგახსენებთ, რომ თებერვლიდან მასამდე ქიდაობა სპორტის 7 სახეობასთან ერთად 2020 წლის ოლიმპიური თამაშების კანდიდატ სახეობად ითვლებოდა...

როსტომ რაჭველიშვილი

პარსკვლავი

ჯანაო ბატუში: პარიზის ორი ეპიზოდის გამო ახლაც მრცხვინია

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და „მილანის“ ყოფილმა ფეხბურთელმა ჯანაო ბატუშომ, რომელიც უმთავრესად თავისი ფეხბურთელი ხასიათით იყო ცნობილი, ერთ-ერთ ინტერვიუში მილანურ კლუბში გატარებული პერიოდი გაიხსენა.

თქვენს კარიერაში მრავლად იცვალა მწვრთნელები. რომელი შთაბეჭდილებით ყველაზე მეტად? ანჩელოტი, ძაკერონი, ლიპი. ბევრს შემოჰქონდა საინტერესო საფეხბურთო იდეები, მაგრამ თუ საკითხი ხასიათზე მიდევნა, საკუთარი ყველას მიჩვენებდა. ეს ისაა, რასაც ვერ დააკვირებ: ის ან გაქვს, ან არ გაქვს. თანმიმდევრული უნდა იყო. არ შეიძლება ბავშვს უთხრა - არ მოწონა და მერე თავად იარო კბილებში სიგარეტგარელობა. თუ მსგავსი რამ მოხდება, ნდობა შეგეძლება დაივიწყოს.

რა არის თქვენთვის „მილანი“? ოცნება, რომელიც ჩემთვის 13 წელიწადი გაგრძელდა. მოედანზე თავს არა მხოლოდ კაპიტნად, არამედ ულტრასების ლიდერადაც ვგრძნობდი. მწვერვალზე ვიყავი. ახლაც კი, Milan Channel-ის ჟურნალისტებთან მაგრად ვნერვიულობ, რადგან ერთად ბევრი რამ გადავიტანეთ. შევიცარიულ „სიონშიც“ მინდოდა ჩემი კვალი დამეტოვებინა, მაგრამ ეს არ გამოვიდა. მხოლოდ იქ მყოფებმა იცინა, რისი გამოვლა მოგვიხდა.

არის ისეთი ვინმე, ვისთანაც ყველაზე მეტად იყავით დაკავშირებული? თუ მაინცდამაინც სახელი გჭირდებათ, ასეთი კარლო ანჩელოტი. როდესაც „მილანში“ ვიყავით, ის ყველას მამასავით გვექცეოდა. თუ ვინმეს პრობლემები ექმნებოდა ცოლთან, ან სხვა რაიმე უსიამოვნება შეემთხვეოდა, ოფისში იბარებდა, მხარზე ხელს დაადებდა და ეუბნებოდა: „დღეს შენ არ ვარჯიშობ და საკუთარ პრობლემებს აგვარებ“.



გიორგი შოთაძე

ალპინიზმი

„მკვლელი მთის“ მოსარჯულად

პაპისტანში 8126 მ სიმაღლის მწვერვალი ნანგა პარბატი, რომელიც მ-ათასიან მწვერვალებს შორის მე-9 მთაა, ალპინისტურ წრეებში „მკვლელი მთის“ სახელითაა ცნობილი. გასული საუკუნის 90-იანი წლების მონაცემებით, ალპინისტთა სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტული მაჩვენებელი სწორედ ამ მწვერვალზე მოდის და მსოფლიოს სამ ყველაზე რთულ მთას შორისაა დასახლებული. 10-კაციანი საერთაშორისო ექსპედიცია (ხელმძღვანელი - უკრაინელი მესი-მალე იგორ სვერგუნე), რომლის შემადგენლობაშიც სახელოვანი ქართველი მთამსვლელები - ბიძინა გუჯაბიძე და აფი გიგანიც შედიან, სწორედ მის დალაშქვრას დიამარის კედლით აპირებს. აღნიშნული მარშრუტი პირველად 1962 წელს გაიარეს და დღემდე სტანდარტულ-კლასიკურ (კომბინირებული თოვლიან-ყინულოვანი, კლდოვანი მონაკვეთებით) მარშრუტად მიიჩნევა (ჩრდილო-დასავლეთი ჰიმალაის ე.წ. ქაშმირის ჰიმალაის, ამ ულამაზეს მთაზე პირველად 1953 წლის 3 ივლისს ავსტრიელი ჰერმან ბულის ხელმძღვანელობით განხორციელდა). ექსპედიცია, სავარაუდოდ, ორ თვემდე გასტანს. ჯორჯის „მთის ჯიქებად“ მონათლული ბიძინა გუჯაბიძე და აფი გიგანი, რომლებსაც დაულაშქრავთ



შვიდ-რვათასიანი მწვერვალები (ზოგიერთი - მრავალგზისაც) - ევერესტი, ლჰოცზე, დჰაულაგირი, სან-ტენგრი, კორჟენესკაიას, ლენინის, კომუნისმის, გამარჯვების პიკები, უშბა, ჩათინი, მყინვარწვერი, განუხორციელები ურთულესი სასიმალო, სასიმალო-ლოტეინიკური, ტექნიკური და თოვლიან-ყინულოვანი ტრავერსები კავკასიონზე, პამირში, ტიან-შანზე, ჰიმალაებში, ჩინეთის მთიანეთსა და სხვაგანაც, თბილისიდან გუშინ გაემგზავრნენ.

ლევან ცინცაძე

ნაპ

„ტიხასელი მეფეები“

როდესაც „მაიამი ჰითი“ და „სან ანტონიო სფურზი“ გადამწყვეტი სერიის მონაწილეები გახდნენ, იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაძაბულად და დრამატულად წარიმართებოდა. ეს მაიამის „ემერქიან ვირლიანზის“ არენაზე ჩატარებულმა ეროვნული საკალაბურთო ასოციაციის პლეი ოფის სუპერფინალის პირველმა შეხვედრამ სრულად დაადასტურა.

მატჩის სტატისტიკას თვალს თუ გადავავლებთ, საუკეთესონი 37 წლის ტიმ დანკანი (20 ქულა, 14 მოხსნა) და ლებრონ ჯეიმსი (18-18 ქულა-მოხსნა, 10 შედეგიანი გადაცემა) იყვნენ, მაგრამ სუპერსერიის პირველი შეხვედრის მთავარი მოქმედი ფიგურა მაინც ტონი პარკერი გახდა. მატჩის გადამწყვეტი ქულებიც სწორედ მან მოუტანა ტიხასელებს. საფინალო

დანკანი - გინდ ვეტერანები დაგვიძახებთ და გინდ ბებრები, მაგრამ მაღალ დონეზე თამაშის ძალა ჯერ კიდევ მაინც შეგვწევსო. „ძალიან კარგია, რომ მოგებით დავინწყეთ და შევეცდებით ასეთივე ენთუზიაზმით ჩავატაროთ სერიის სხვა მატჩები“, - დასძინა დანკანმა.

ბოლოს, „მეფე ლებრონის“ მიღწევაზეც ვთქვათ. ჯეიმსმა მათედ მოახერხა ეროვნული საკალაბურთო ასოციაციის მამაგი დუბლის შესრულება და ამ მაჩვენებლით რაჯონ რონდოსა და ლარი ბერდს გაუთანაბრდა. საპლეიოვო ტრიპლ-დაბლებით ლებრონს მხოლოდ მეჯიკ ჯონსონი (30) და ახლახან დიდი კალაბურთიდან წასული ჯეისონ კიდი (11) უსწრებენ. ამას გარდა, ჯეიმსმა პლეი ოფის შესვედრებში შეედიხე და ორჯერ მოახერხა სამმაგი დუბლის გაფორმება. ამგვარი რამ



სირენამდე 15-იოდე წამით ადრე „სან ანტონიო“ 90:88-ს იგებდა. ამ დროს ბურთი „სფურზის“ ფრანგ უკანასახელს ჰქონდა. მან დრიბლინგით გაიარა რამდენიმე მეტოქე და ტყორცნა. ბურთი ჯერ ფარს მოხვდა, შემდეგ კალათის როგოს და ამის შემდეგ კალათში ჩაეშვა. ანგარიში 92:88 გახდა და საფინალო სირენამდე 5 წამით იყო დარჩენილი...

მატჩის დასრულების შემდეგ პარკერმა დასვლით წამებს „საგიჟო“ უწოდა, თავად კი ალიარა, დრიბლინგის დროს სამჯერ-ოთხჯერ მეგონა, ბურთს დავკარგავდი, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა. მოგებით აღტაცებას ვერ მალავდა ტიხასელთა კაპიტანი ტიმ

მხოლოდ უილტ ჩემბერლენმა (1967 წელი) და მეჯიკ ჯონსონმა (1984) მოახერხეს.

„მაიამი“ - „სან ანტონიო“ 88:92 (24:23, 28:26, 20:20, 16:23) „მაიამი“: სასტარტო: ლებრონ ჯეიმსი (18ქ, 18პ, 10პ), უეიდი (17ქ), ბოში (13ქ), ჩელმერზი (8ქ), ჰასლემი (2ქ). შემცვლელები: ალენი (13ქ), ანდერსენი (7ქ), კოული (5ქ), მილერი (5ქ), ბატე, ენტონი.

„სან ანტონიო“: სასტარტო: პარკერი (21ქ, 6პ), დანკანი (20ქ, 14პ), გრინი (12ქ), ლუონარდი (10ქ, 10პ), სპლიტერი (7ქ). შემცვლელები: ჯინობლი (13ქ), დილი (2ქ), ჯოზეფი, ბონერი (7ქ). სერიის ანგარიში 0:1.

ვიტალი ჯაფარიძე

ცხოვრების სურათი

მშშ ნაცრისფერ ღრუბლებს ქარი აღმოსავლეთისკენ ერეკებოდა. ცა თანდათან ჩაშავდა-ჩამუქდა. ნაბიჯს აფურჩქარებ, წვიმა წამომწვია და თავი ჯახსურს შეფაფარებ. ქუჩის ზემოდან წვიმის ჭჭყყინი წყალი მოდგაფუნებდა და თან დაუდგურად დაფერილი ნაგავი ჩამოქონდა:

მანქანებიდან ასფალტზე ხურდა ფული კანტიკუნტად ცვიოდა. ბიჭი მანქანებს შორის დარბოდა, ხურდა ფულს კრეფდა და მუჭაში იგროვებდა, მაგრამ უცაბედად სველ ასფალტზე ფეხი აუცდა, წაიქცა და მუჭაში მოგროვილი ფული მიმოფანტა... ვიღაცამ მანქანა დაამუხრუჭა, მძღოლი ყვირილითა და უშვერი სიტყვებით ბიჭს მივარდა, წამოაყენა და სილა გაანაწა.

გზა აღმართზე აღიოდა

რას ჩაღი... გაგიჟდი?... ახლავე ფეხზე ჩაიცივი, ჩაიცივი-მეთქი... ნუ ჯიუტობ... გინდა ფეხები შუშით დაიჭრა?! გოგონა შეცბა, ბიჭს დაემორჩილა. კოჭებამდე ჩათრეული გრძელი პალტო ძლივს ასწია, სველი ფეხსაცმელები მოირგო და ფრიალა-ფრუტითა და ჭყაპა-ჭყუპით გზა განაგრძო.

თორემ პოლიციას ჩაგაბარებ, გეყურებ?... გაქრი აქედან! - მძღოლმა ფული მიუგდო და გაბრუნდა. ნაცემ პატარა მათხოვარს, თითქმის ყველა მძღოლი ხურდა ფულით „ასაჩუქრებდა“. ბიჭი თვლებს არ უჯერებდა. შეწყდა თუ არა მანქანების სველა, ბიჭმა ნადავლი წამოკრიფა, იქვე კუთხეში ჩაიმუხლა, ფული ასფალტზე დაყარა და ბუტბუტი დაიწყო:

თვალეებით ამომხედა და მიპასუხა: - მამა მომიკვდა, დედა ავად არის... დედა უკრაინელია, მამა ქართველი იყო... - ნასტია და ნატალია შენი დედაა?... - ხო, ჩემი დედაა... - ოჯახს შენ არჩენ?... ბიჭმა მხრები აიჩჩია: - აბა რაკენა, შიმშილით მოკვდეთ, საშუალება სხვა არ არის... - რა გვარი ხარ? - მხრები... - კარგი გვარისა ყოფილხარ? ბიჭს გაუხარდა. თითქმის მოლბა კიდეც: - სწავლობ? - არა, რას ამბობთ?... აბა როგორ?... ნატალია წელს შევა სკოლაში, ნასტია სწავლობს... ხანდახან ფულის შოვნაში მეც მესხარება ხოლმე, სამუშაოს დამპირდნენ, ვიმუშავე, ლამის სკოლაში შევალ და მეც ვისწავლი, მოვამადგები და ვისწავლი, მაშ, აბა როგორ?..

ბიჭი გათამამდა, ხელები გაშალა და ასე მითხრა: - იცით, ჩემი მამა რას გვეუბნებოდა? ცხოვრება ზოგისთვის მძიმეა, ზოგისთვის არაო, უნდა ებრძოლო, თუ გინდა რო არ დაიღუპო, შესაძლებლობები თავისით არ მოიძიო, შესაძლებლობები შენ თვითონ უნდა ეძებო და სწორ გზაზე გახვიდეო, თუ არ გინდა დაიღუპო, გზა შენ თვითონ უნდა ეძებო, ხო და მეც ვეძებ რაღა?... თავი ასწია, გამიღიმა, წამოდგა, გრძელ, ნახევარსარი პიჯაკის ჯიბეში ფული ჩაიჩხრიალა, დიდი კაცივით ხელი მაგრად ჩამომართვა, „ნახვამდისო“ მომაცხა, ჩატყბილ ასფალტს გადაახტა და გზას აღმართისკენ გაუყვა... „ცხოვრებას უნდა ებრძოლო, შესაძლებლობებს ვეძებო!“... მისმა ნათქვამმა დამაფიქრა... თვალდახელონა გაფრენილ ყმაწვილს გაეცხედა. ასეთი ახალგაზრდა ცხოვრებაში უსათუოდ გაიმარჯვებს, სიძველეს დაძლევს, სწორ გზას დაადგება... - გავიფიქრე და მეც ჩემს გზას დავადექი.

ცისანა სინარულიძე, 20 V, 2013 წ.

მს ჩვენი ისტორია

მოსკოვი გამოვიდა სტალინის თხზულებათა მრავალტომეულის პირველი ტომი

გამომცემი ი.ბ. სტალინის შრომების გამოცემა მიზნად ისახავს იმ ვითარების შეცვლას, როდესაც ჩვენი ქვეყნისა და მთელი XX საუკუნის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რთული და დამატრიალურად დაპირისპირებული შეფასებათა ბიროვნება დღემდე არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული და ძველებურად მიუწვდომელი მასობრივად დაინტერესებული მკითხველებისთვის, რომელთა ყურადღება, ისევე როგორც სპეციალისტებისა, განისაზღვრება ათასობით და ათასობით ადრე გამოუქვეყნებელი საარქივო მასალებით: ჩანაწერებით, დებულებით, სიტყვების შავი ბირებით და საუბრების სტენოგრაფიებით. ეს ტექსტების უზარმაზარი მასივი, თავად სტალინის დამასახიანებელი, მისი ჩანაწერები და ქტეგები, რომლებიც დიდი ხანია სჭირდება მკითხველს და აუცილებელია მცენიერულად დამუშავების თვალსაზრისითაც.



40-იან წლებში ი.ბ. სტალინის თხზულებების პირველი გამოცემისთვის.

მოთავარი პრინციპი - ეს არის გამოქვეყნდეს ყოველგვარი შემოკლებებისა და ცვლილებების გარეშე ყოველივე, რასთან დაკავშირებითაც საიმედოდ იქნება დადასტურებული სტალინის ავტორობა. შემდგენელთა აზრით, ამ მასალების მიწოდება უნდა იყოს დოკუმენტური მასალა, რასაც გამოიყენებენ მკვლევარები, ვახდება ასალი ბიძგი საბჭოთა ეპოქის შესწავლაში. გამოსული პირველი ტომი მოიცავს პერიოდს 1894-დან 1904 წლამდე, აგრეთვე იგი შეიცავს ვრცელ დამატებებს, რომლებიც მოიცავენ რუსეთის სახელმწიფო არქივის მასალებს და შეეხება სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიას, და რომლებიც მიძღვნილია მოსამზადებელი სამუშაოებისადმი 30-ეული გამოცემისთვის.

„ლიტერატურაშია ბაზატი“ (№ 23) 5-11 ივნისი.

სათელი

ლევან ბაგოშიძე




მართლაც რომ წუთისოფლის სტუმრები ვყოფილხართ. აბა, სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ 36 წლის ვაჟკაცთან გვინვეს გამოთხოვება. დედაქალაქის კოლორიტის - ნუხა გაგოშიძის ტრადიციული ქართული ოჯახის ნაბოლარამ ბავშვობიდანვე შეისისხლბორცა მოყვასის ერთგულეობა და უანგაროდ უნილადებდა ადამიანურ სიტბოს მთელ სანათესაოს, სამეგობროს, უბანსა და მშობლიური რაჭის ულამაზეს სოფელ ტოლას.

ოჯახი, მემორია

ბავსენება

შალვა რატიანი



ძვირფასო ძმარ შალვა, ექვსი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენ დედაუნივერსიტეტში შევხვდით ერთმანეთს. დაუვიწყარი ის დღეები, წლები. და აი, ყველა ჩვენგანისთვის უკვე ჩამოშკრა სიბერის მაუნყებელი ზარმა. სამწუხაროდ, შენ უდროოდ, 30 წლის წინათ გამოაკლდი შენს თაობას, იმ თაობას, რომელმაც, ღვთის შენეებით საქართველო წანატრი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე გაიყვანა. ამ უდადესი მონაპოვრის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის დღესაც გრძელდება მძიმე ბრძოლა.

მეუღლე ნინო კინწურაშვილი, შვილები ევა, რუსუდანი, გიორგი, ძმა კორნელი კინწურაშვილი, რძლები ირინე სარაბაძე, ჟუჟუნა კირთაძე, ნუნუ რაზმაშვილი, სიძეები ვაჟა ჭიბაშვილი, პაატა მერაბიშვილი, შვილიშვილები ლევანი, ლუკა, ოთარ, ანდრო, ნიკო, ნიკოლოზი, გიორგი, ძმისწულეები თამარ, ლაშა, ირმა კინწურაშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნყებიან



გიორგი (პიპი) კალისტრატუს ძი კინწურაშვილის გარდაცვალება. პანაშვიდი 8 VI, 16 სთ. გამოსვენება 9 VI, 14 სთ. მისამართი: კეკელიძის ქ. №23.

მს გენიალური ცხოველები

ვეზაი და ვენტილატორი



ვეზაი და ვენტილატორი ფარფლები წამონაზარდებით დეფორმირებულია და ამას, რასაკვირველია, აქვს თავისი მიზეზები. ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მათემატიკურად დაადასტურეს, რომ წამონაზარდები აუმიჯობებს ვენტილაციის წყალში მოძრაობის ჰიდროდინამიკურ შესაძლებლობებს.

ამ პრინციპის საფუძველზე მათ გააკეთეს აღმოჩენა, რისი რეალიზაციისთვისაც შეიქმნა სპეციალური კომპანია. ქარის ძრავის ლაპოტები ასეთივე „კოპებით“, მაგალითად, ანარმოებენ 20 პროცენტით მეტ ენერჯიას და ამ დროს გაცილებით ნაკლებად ხმაურობენ. ეს ვენტილატორებისთვის, ტურბინებისთვის და, განსაკუთრებით, დიდი თვითმფრინავებისთვის მომავალია. ჰარვარდელ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ამ პატარა გორაკებს შეუძლიათ გააუმჯობესონ მუშაობა ყოველივეს, რაც წარმოადგენს ფრთას ან ხრახნს, ნებისმიერ გარემოში – ჰაერში, წყალსა თუ ზეთში.

ზღვის კიტრი და პარკინსონის დაავადება

ჩვეულებრივად ზღვის კიტრი – რბილი, დუნე არსებაა, რომელიც ცხოვრობს ზღვის ფსკერზე „სტიალში“ ატარებს. მაგრამ უმცირესი საფრთხის დროს იგი უმაღლეს არჩვეულებრივად მყარი ხდება. მისი ელასტიკური სხეული ელვისებურად იძენს სიმკვრივეს კოლაგენის ნანობოჭკოების წყალბოთით. ამერიკელმა მეცნიერებმა ეს თვისება გამოიყენეს სელონური მასალის შესაქმნელად, რომელსაც შეუძლია წყლის ზემოქმედებით გადავიდეს მყარი მდგომარეობიდან რბილის პლასტიკურობაში. ვარაუდობენ, ნივთიერება გამოიყენონ მიკროელექტროდების დასამზადებლად, რომლებიც მკვდრებს პარკინსონით დაავადებულის ტვინში ან ზურგის ტვინში ადამიანისა, ვისაც დიდი ტკივილები აწუხებს ზურგში. თუ კლასიკური ელექტროდები დროთა განმავლობაში აზიანებენ ცოცხალ ქსოვილებს, ესენი, შექმნილი ზღვის კიტრის სახით, რამდენიმე კვირის შემდეგ რბილდებიან და აბსოლუტურად უვნებლები ხდებიან.



ბუ და პარკოსი



ბრც ერთი არსება მსოფლიოში არ მოძრაობს ბუზე ჩუმად. ფრენის დროს მტაცებელი გაუზრბის ნებისმიერ ხმაურს, რომ შემთხვევით არ შეაშინოს მსხვერპლი. მისი ეს უნარი დიდად გამოადგებოდა ადამიანებს. უნინარეს ყოვლისა, ბუს არჩვეულებრივად განიერი ფრთები აქვს. ეს კი ნიშნავს – იმისთვის, რომ იფრინოს, მას თითქმის არ სჭირდება ფრთების ქნევა. ამას გარდა, ბუს თათები და ფრთები დაფარულია ძალიან ნაზი ბუმბულით, რომელიც შესანიშნავად ნთქავს ვიბრაციას. დაბოლოს, ბუს ბუმბულის თავები სავარცხლის კბილებს მოგვაგონებენ, რათა „გააპონ“ ჰაერის გრივალს.

რასაკვირველია, უხმაურო ფრენის ტექნოლოგიამ მოხიბლა ავიაშენებლობის გიგანტები – ბოინგი და ერბუსი. ამჟამად საუთმპეტონში უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილია ხმაურის კვლევის ცენტრი.

პეპელა და ტელეპარანი

მორფების ოჯახის პეპლების ხასხასა ფრთებში არანაირი პიგმენტები არ არის. ფერის ეფექტი მიიღწევა მიკროქერცლის წყალბოთით, რომელიც იშლება და აირეკლავს ფერს. ფრანგი სერჟ ბერტიე პარიზი – VII ინსტიტუტიდან დიდხანს სწავლობდა ამ მოვლენას. მისი დაკვირვებების შედეგად გაჩნდა ამ პრინციპის ბრტყელი ეკრანებისთვის გამოყენების იდეა. ტექნიკა, რომელსაც ინტერფერომეტრიკი მოდულატინი ეწოდა, შედგება ათობით ათასი მიკროსკოპული ორმაგი სარკისგან, რომლებსაც შეუძლიათ გამოასხიონ შუქი. ეს ტექნოლოგია მეტად ეკონომიურია. ფაბრიკამ ტაივანზე დაიწყო წარმოება მირასოლის ეკრანებისა, რომლებიც გათვალისწინებულია იმ მობილური ტელეფონების, სათამაშო კონსოლებისა და მონიტორების ეკრანებისთვის, რომლებიც დაფუძნებულია imad-ის ტექნოლოგიაზე.



ბიომინერტიკა – ასე ეწოდება ბუნების იმიტაციის მეცნიერებას. მართლაც, ჩვენს პლანეტაზე გადარჩენის ხერხი უამრავია, მაგრამ ბუნება არ ჩქარობს, გაგვიმუშავენს თავისი საიდუმლოებანი...

პირთხა და კასობრიობის გადარჩენა

პირთხა ძალიან ცუდად ხდება. მაგრამ ეს განა რა უბედურებაა მას სომ აქვს ულვაშები და ეს – უშიშრობის მგრძობიარე მიმღებია. ვიბრაციების მუდმივი ხმაური საშუალებას აძლევს მას, განსაზღვროს ფორმა და ზედაპირი ნებისმიერი საგნისა ანდა ნებისმიერი მსხვერპლისა. სინდნელში ეს მგრძობიარე თემები საგნებით დამაკმაყოფილებლად უცვლელი ვირთხას მხედველობას.



საკვლევ პროექტს, რომელიც 9 საერთაშორისო ლაბორატორიას აერთიანებს, განზრახული აქვს, დაამუშაოს ხელოვნური ვიბრაცია ვირთხის ნიშნის მიხედვით. პროფესორმა ტონი პრესკოტმა შეფილდის უნივერსიტეტიდან უკვე დაამუშავა „ულვაშისანი“ რობოტი, რომელსაც შეუძლია გადაადგილდეს და იმოქმედოს კვამლით საესე შენობაში.

სტინოკორა და მიკროფლუიდავი

სტინოკორა – ესაა პატარა კიბო სკარაბეი, რომელიც ნამიბიაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე დიუნებში ცხოვრობს. ის ღებულობს „მლოცველის“ პოზას და ელოდება, ნესტი შაერიდან როგორ მოახდენს მის ჯავშანზე კონდენსირებას. წვეთები ჩაცურავს მისი პირისკენ, რომ წყურვილი მოუკლას. სტინოკორის ფრთებქვეშა ზედაპირის შესწავლის შემდეგ ინგლისელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს მინი-ბორცვები, რომლებსაც ზედაპირიც იწოვს წყალს ნისლიდან, წყალგამძლე გვერდები კი უზრუნველყოფენ მიკროწვეთების დაგროვებას. 2006 წელს სხვა მეცნიერებმა მიიღეს სინთეტური კანი ასეთივე თვისებებით. ვარაუდობენ, რომ ეს საშუალებას მოგვცემს ერთდროულად ავეილოთ ასობით ქიმიური ანალიზი ორგანიზმის უჯრედების შიგნითაც კი.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაპიტალიზმი ვახსოვდება



ტრაგედია პელმანდში, თბილისში რადიკალური ისლამის საფრთხეზე ალბაპრაქდენ

ალბანეთში ქართულ ბაზაზე მომხდარი ტერაქტის შედეგად 7 ქართველი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, დაჭრილია 9 ჯარისკაცი. თვითმკვლელობა ტერორისტმა სატიერთო ავტომანქანა ააფეთქა. გუშინწინდელმა ტრაგედიამ საქართველოში კიდევ უფრო გააძლიერა ის ძალები, რომლებიც ავღანეთიდან ქართული ჯარების გამოყვანას მოითხოვენ. ამ მოთხოვნით სოციალური ქსელების მეშვეობით, შაბათს რუსთაველზე აქციაც დაიგეგმა. როგორც ამბობენ, ლაფანყურის ტრაგედიის შემდეგ მძაფრდება რადიკალური დამოკიდებულება საქართველოში და ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების მიმართ. იმასაც ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მოჰყვა მიხეილ სააკაშვილის მიერ 26 მაისს ჩატარებულ ალღუმს ავღანეთში.

„თავისუფალი საპარტიო“ საპროტესტო აქციით იმუშავებს

„თავისუფალი საპარტიო“ განცხადებას ავრცელებს, ხელისუფლებას სამართლიანობის აღდგენის დაწყებისთვის ორკვირიან ვადას ვაძლევთ და პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საპროტესტო აქციებს ვინწყებთ. „მივიჩნევთ, რომ უკვე საკმარისზე მეტი დრო გავიდა, რათა სამართლიანობის აღდგენის პროცესში საზოგადოებას დაენახა ხელისუფლების გადადგმული ნაბიჯები. „თავისუფალი საქართველო“ ყველა ამ ეპიზოდზე გამოძიების დასაწყებად პროკურატურას აძლევს ორკვირიან ვადას. ვადის ამოწურვის შემდეგ პარტია დაიწყებს კონსულტაციებს სხვა პოლიტიკურ ძალებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით მოხდეს მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები“, – ნათქვამია განცხადებაში.

„ღევიან კალაქის მკვლელები რომ არ მიაღწიან, 7 წლით ციხეში ჩამსვას“

– ამბობს პოლკოვნიკი ბათუ სალინაძე, რომელიც ღევიან კალაქის გატაცებისა და მკვლელობის საქმეს იძიებდა. ისიც სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლია და იმ მრავალრიცხოვან საქმეებს შორის, რომელიც ხელახლა გამოსაძიებელი, მისი საქმეც არის. ცნობილმა გამომძიებელმა 70 წლის ასაკში 7 წელი ციხეში გაატარა. პოლკოვნიკ ბათუ სალინაძის თაობაზე არაერთხელ დაწერილა. ამჯერად ახალ-ახალ დეტალებს გაიგებს მკითხველი.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.



ციცხვალ ანაკლოტავი

– გიშვილათ წამალმა, ამას წინათ რომ გამოგიწერეთ? – მიშველა, რომელია, ექიმო. იგი შეცდომით ბიძაჩემმა დალია და თავის ერთადერთ მემკვიდრედ დაამტოვა. * * * აბამღვი ადამიანებს ჩემს პრობლემებზე ვუყვებოდი. მერე კი



გადავწყვიტე, რომ არ ღირს ამ მეთოდით მათი განწყობის გაუმჯობესება. * * * – ბაბიბი, რომ პუტინი ცოლს გაპყრია? – და რუსეთი რომელს დარჩა? * * * – მამაბაბი შეიძლება გიყვარდეს 10 პროცენტით, 90 პროცენტით კი გესმოდეს მისი. ქალი კი მთელი 100 პროცენტით უნდა გიყვარდეს, რადგან მისი გაგება შეუძლებელია.

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი რედაქტორი ალექს ალანოშვილი 299-62-77; 599 56-81-86. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ ძოპულია 599 36-00-35. პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24.